პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
28 ნოემბერი
1939 წ.
№ 273 (5673)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული

ფინეთის სამხედრო ხროვის თავხედურმა პროვოკაციამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის.

გუშინ ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში გამართულ ხალხმრავალ მიტინგებზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში ჩვენი ქვეყნის მშრომელნი მხურვალედ იწონებენ საბჭოთა მთავრობის ნოტას.

დაუყოვნებლივ მოშორებულ იქნან ფინეთის ჯარები საბჭოთა საზღვარს — ასეთია მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა.

საპატიო ჯილდოს ვუპასუხოთ ახალი წარმატებებით

„კომუნისტის" დღევანდელ ნომერში ქვეყნდება საქართველოს იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების სია, რომლებიც სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული შესანიშნავი წარმატებებისა და სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის მაჩვენებელთა გადაჭარბებით შესრულებისათვის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მთავარ საგამოფენო კომიტეტის 1939 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით დაჯილდოებული არიან პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებით. პირველი ხარისხის დიპლომით, 10 ათასი მანეთით და მსუბუქი ავტომანქანით დაჯილდოებულია 21 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, აგრეთვე საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ულიანოვკის მტს-ი, მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოებულია 82 კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მეცხოველეობის სასაქონლო ფერმა, აგრეთვე ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა ანასეულის სრულიად-საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და მახარაძის რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა".

ამ მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებისა და სხვათა დაჯილდოება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მზადების საზეიმო დღეებში კიდევ უფრო აღაფრთოვანებს ორდენოსანი საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკებს, საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველებსა და დამკვრელებს ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში საქართველოდან წელს 4.019 მონაწილე იყო დაშვებული. საქართველოს პავილიონი, რომლის სტენდებსა და დარბაზებს ამშვენებდნენ მრავალფეროვანი ექსპონატები და სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულ ბრწყინვალე წარმატებათა მაჩვენებლები, ფრიადზე იქნა შეფასებული და მას მრავალრიცხოვანი მნახველი ჰყავდა.

გამოფენა ჭეშმარიტად იყო გამოცდილების დიადი სკოლა. გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები, იქ მიღებული მდიდარი ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებულნი, ენერგიულად იბრძვიან, რათა კიდევ უფრო წინ წასწიონ თავიანთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მტს-ი. 1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად დღითი-დღე ფართოვდება მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. რესპუბლიკის მარტო 15 რაიონის არასრული ცნობებით სოცშეჯიბრებაში უკვე ჩაბმულია 17.200 კოლმეურნეობა, მეცხოველეობის სასაქონლო ფერმა, ბრიგადა, რგოლი, კოლმეურნე და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად საქართველოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებსა და მტს-ებს წელს გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აქვთ. მაგალითად, წელს საქართველოში 44.761 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი დამზადდა, 9.325 ათასი კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან. წელს უნდა დამზადდეს ნახევარი მილიარდი ცალი ციტრუსი. 25 ნოემბრისათვის აქედან უკვე დამზადებული იყო 246.315 ათას ცალზე მეტი, თითქმის იმდენი, რაც შარშან მთელი წლის განმავლობაში დამზადდა. ხირსის ლ. ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ, რომელიც მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ პირველი ხარისხის დიპლომით არის დაჯილდოებული, წელს ჰექტარზე საშუალოდ 112,8 ცენტნერი ყურძენი მიიღო, თითქმის ორჯერ მეტი იმაზე, რაც გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის არის დაწესებული. კასპის რაიონის სოფ. ახალციხის კოლმეურნეობა „პირველმა ნაბიჯმა", რომელსაც 1940 წელს გამოფენაში მონაწილეობისათვის განცხადება აქვს შეტანილი, სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში ჰექტარზე საშუალოდ 229,9 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა.

გამოფენაში მონაწილეობის უფლების მისაღებად სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის რაიონულ კომიტეტებში 25 ნოემბრისათვის 5.871 განცხადება იყო შეტანილი. ეჭვი არ არის, რომ 1940 წელს გამოფენის მონაწილეთა რიცხვი წლევანდელთან შედარებით გაცილებით მეტი იქნება, მაგრამ ამან არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს თავდამშვიდება. საპატიო ჯილდო გვავალებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა იმისათვის, რომ ვადაზე და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები და ყველა სახის სახელმწიფო ვალდებულებანი.

უკვე გაჩაღდა ციტრუსების კრეფა. ამავე დროს მიმდინარეობს საზამთრო სამუშაოები ჩაის პლანტაციებში, აგრეთვე საშემოდგომო ხვნა-თესვა, პირუტყვის საზამთროდ დაბინავება, მოსავლის განაწილება, ჩაისა და ციტრუსებისათვის ნიადაგის მომზადება და სხვ. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს სამუშაოები დროულად და ყველა დადგენილი წესის დაცვით იქნას შესრულებული.

საკოლმეურნეო სოფელს ამჟამად საკმაოდ ჰყავს ტექნიკური ინტელიგენციის საკუთარი კადრები. ათასობით აგრონომები, აგროტექნიკოსები, ვეტექიმები, ზოოტექნიკოსები და სხვა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ ახლა სოფლად. ეს ის კადრებია, რომელთა სწორად გამოყენებაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი წინსვლა, მიმდინარე სამუშაოთა გეგმების შესრულებისა და გამოფენისათვის მზადების წარმატება. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში კი სამიწათმოქმედო ორგანოებმა ერთხელ კიდევ უნდა შეამოწმონ, თუ რამდენად სწორად გამოყენებულია ეს კადრები. აგრონომები, ზოოტექნიკოსები და ვეტექიმები მარტო სტატისტიკური ცნობების შედგენაზე კი არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც ეს აქა-იქ ხდება, არამედ გადაყვანილ იქნან სამუშაოდ უშუალოდ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, აგროუბნებში, მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებში. ეს ჩვენ ხელს შეგვიწყობს კიდევ უფრო ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება.

ემზადებიან რა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებით იბრძვიან, რათა ამ დიდ და სასიხარულო დღესასწაულს ღირსეულად შეხვდნენ. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის კოლექტივის მიმართვა საქართველოს სსრ ყველა მშრომელისადმი, რომელიც „კომუნისტის" 27 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა, მოწმობს ამომრჩეველთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამ მძლავრ აღმავლობას. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მოწინავე საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების დაჯილდოება ხელს შეუწყობს პოლიტიკური და საწარმოო ენტუზიაზმის კიდევ უფრო სწრაფ ზრდას სოფლად.

ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ საპატიო ჯილდოს, საქმით გამოვეხმაუროთ სტალინელების მიმართვას. სანიმუშოდ მოვემზადოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, ვადაზე და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ 1939 წლის გეგმები, მოვიპოვოთ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება 1940 წელს — ასეთია ამოცანა.

საინფორმაციო ცნობა

25-26 ნოემბერს შედგა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეთხე პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სახელმწიფოებრივ და სამეურნეო მშენებლობაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხებზე საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII და IX პლენუმების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ — საქ. ალკკ სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ბესტაევის და საქ. ალკკ ალბულალის რაიკომის მდივნის ამხ. ცქრიალაძის მოხსენებები.

2. კომკავშირული დოკუმენტების შეცვლის შედეგებსა და საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე — საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კადრების დარგში ამხ. ღვებუაძის მოხსენება.

3. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ—საქ. ალკკ ც. კ-ის მდივნის პროპაგანდის დარგში ამხ. იმნაიშვილის მოხსენება.

განხილული საკითხების გარშემო პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამხ. ჯვარიშეიშვილი საქ. ალკკ ც. კ-ის დადგენილებით მოხსნილ იქნა საქ. ალკკ ც. კ-ის მეორე მდივნის თანამდებობიდან, პლენუმმა იგი გამოიყვანა ც. კ-ის ბიუროს შემადგენლობიდან.

პლენუმმა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად აირჩია ამხ. თ. ბირკაძე.

პლენუმმა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივნად სასკოლო ახალგაზრდობისა და პიონერთა მუშაობის დარგში აირჩია ამხ. ნ. ქვანია და შეიყვანა იგი საქ. ალკკ ც. კ-ის ბიუროს წევრთა შემადგენლობაში.

პლენუმმა საქ. ალკკ ც. კ-ის გლეხი ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ დაამტკიცა ამხ. დ. ჯიბლაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. მ. ჯაში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მთავრობის ნოტას

ფინეთის სამხედრო ხროვის თავხედურმა პროვოკაციამ ფინეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე ჩვენი ქვეყნის მშრომელების უსაზღვრო აღშფოთება გამოიწვია.

გუშინ თბილისის საწარმოებში ჩატარდა მუშა-მოსამსახურეთა და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის სახელდახელო მიტინგები და საუბრები ფინეთის სამხედრო ხროვის თავხედური პროვოკაციისა და საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ ფინეთის მთავრობისადმი.

მიღებულ რეზოლუციებში დედაქალაქის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მთავრობის ნოტას და მხურვალედ მიესალმებიან მთავრობის ბრძნულ სამშვიდობო პოლიტიკას. საბჭოთა მთავრობის მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ დაშორებულ იქნას სსრ კავშირის საზღვარს ფინეთის ჯარი, თბილისის მშრომელები მტკიცედ უჭერენ მხარს და კატეგორიულად მოითხოვენ, რათა იგი დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ იქნას შესრულებული.

მშრომელები გამოსთქვამენ რწმენას, რომ ჩვენი მთავრობა ყოველ ზომას მიიღებს, რათა უშიშარჰყოს ჩვენი დიადი სამშობლოს წმინდა საზღვრების ყველა მისასვლელი.

ომის გამჩაღებლები თავს ვერ დააღწევენ პასუხისმგებლობას

უღრმესი აღშფოთების გრძნობით შეხვდა მოსკოვის სტალინის სახელობის ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი ცნობას საბჭოთა კავშირისა და ფინეთის საზღვარზე ფინეთის სამხედრო ხროვის თავხედური პროვოკაციის შესახებ.

— ფინეთის მმართველ წრეებს, —განაცხადა საძარე საამქროს ძველი კადრის მუშამ, ოსტატმა ამხ. როჟკოვმა, — დამღუპველი გზით, ბეკებისა და მოსციცკების გზით მიჰყავთ თავისი ქვეყანა. ისინი პროვოკაციას ეწევიან, რათა ომში ჩააბან დიადი საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის პოლიტიკა მშვიდობიანობის პოლიტიკაა. მაგრამ ომის გამჩაღებლები, რომელთაც სახიფათო თამაში განიზრახეს, თავს ვერ დააღწევენ პასუხისმგებლობას. ჩვენი მთავრობა შესძლებს უზრუნველჰყოს სოციალიზმის ქვეყნის უშიშროება.

მომპირკეთებელი საამქროს სტახანოველმა ამხ. კრუჟანეცმა სთქვა:

— უღრმესად აღშფოთებული ვარ ფინეთის სამხედრო ხროვის თავხედური პროვოკაციით. იმედი მაქვს, რომ ჩვენი მთავრობა შესძლებს მიიღოს საჭირო ზომები და ჯეროვანი პასუხი გასცეს ომის გათავხედებულ პროვოკატორებს. (საკდესი).

უშიშარვყოთ საბჭოთა კავშირის საზღვრები ფინეთის სამხედრო ხროვის თავხედური პროვოკაციებისაგან

ფინეთის სამხედრო ხროვის თავხედური პროვოკაციის ამბავი სწრაფად გავრცელდა მოსკოვის „დინამოს" კიროვის სახელობის ქარხნის ღამის ცვლის მუშებსა და სპეციალისტებს შორის. პროვოკაციულმა სროლამ, რომელიც ფინეთის სამხედრო ნაწილებმა აუტეხეს საბჭოთა ჯარს, ღრმა აღშფოთება გამოიწვია მათში.

— ფინეთის მილიტარისტებს, — ამბობს მუდმივი დენის მანქანების საამქროს ოსტატი ამხ. სიდოროვი, —ავიწყდებათ, რომ მათ საქმე აქვთ მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოსთან, რომელიც არავითარ პროვოკაციას არ მოითმენს. მხურვალედ მივესალმები საბჭოთა მთავრობის მტკიცე ნოტას. მასში გამოთქმულია მთელი საბჭოთა ხალხის აზრი.

ამავე საამქროს სტახანოველმა ხარატმა ამხ. რიბკინმა განაცხადა:

— ფინეთის სამხედრო ხროვამ სახიფათო თამაში დაიწყო, რომელიც მისთვის სავალალოდ შეიძლება დამთავრდეს. ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა კავშირის საზღვრების უშიშარყოფას ფინეთის სამხედრო ხროვის ამ თავხედური პროვოკაციებისაგან. (საკდესი).

მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის მტკიცე ნოტას

საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარზე ფინეთის სამხედრო ხროვის მიერ ჩადენილი თავხედური პროვოკაციის ამბავი ელვისებური სისწრაფით მოედო თბილისის უდიდესი საწარმოს—სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ყველა საამქროს. ფინეთის ჯარის ნაწილების მიერ საბჭოთა ჯარისათვის პროვოკაციული სროლის ატეხის აქტმა საყოველთაო უღრმესი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. აგიტატორთა გარშემო, ორთქლმავლებთან და დაზგებთან სასადილო დასვენების დროს მუშებისა და სპეციალისტების მრავალრიცხოვანი ჯგუფები შეიკრიბა. მათ ყურადღებით მოისმინეს პრესაში გამოქვეყნებული საბჭოთა მთავრობის ნოტა ფინეთის სამხედრო ხროვის პროვოკაციული გამოლაშქრების გამო.

— მე სიამაყით მივესალმები საბჭოთა მთავრობის მტკიცე ნოტას, —სთქვა საუბრის დროს კადრის მუშამ, სტახანოველმა მექვაბემ იოსებ მალხაზის-ძე ხუროშვილმა. ომის გათავხედებულ პროვოკატორებს დამსახურებისამებრ მიეზღვით. მე იმედი მაქვს ამისათვის იზრუნებს ჩვენი საბჭოთა მთავრობა, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფს ჩვენი სამშობლოს უშიშროებას. ჩვენ კი, კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

მხურვალედ და მღელვარედ ლაპარაკობს წარჩინებული სტახანოველი შემდუღებელი ზაქარია ნადირაძე.

— ფინეთის დღევანდელი მესვეურნი — მარიონეტები,—ამბობს იგი,—ყოველი ძალღონით ცდილობენ პროვოკაციულად გამოიწვიონ ომი საბჭოთა კავშირთან. მაგრამ ჩვენი საზღვრები მიუდგომელია და მიუდგომელი იქნება. ჩვენი სახელოვანი წითელი არმია მტკიცედ დგას საბჭოთა ხალხის ინტერესების სადარაჯოზე.

ნაშუადღევის 4 საათზე, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ქარხანაში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც 1500-ზე მეტი მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი დაესწრო.

საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა ამხ. ნეფარიძე.

მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა 4-ათასიანი კოლექტივი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს, მიმართულს ფინეთის გამოტვინებული მესვეურების ასალაგმავად.

„ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად ვაცხადებთ, რომ ლენინ-სტალინის, დიადი პარტიის გარშემო მტკიცედ დარაზმულნი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის, ჩვენი საყვარელი მამის ამხანაგი **სტალინის** დიდი გენიით შთაგონებულნი, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენ გავსრესავთ იმ საზიზღრებს, რომლებიც შეეცდებიან გადაგვეღობონ ჩვენი მიზნების მისაღწევ გზაზე.

ჩვენ გამოვთქვამთ რწმენას, რომ ჩვენი მთავრობა ყოველ ზომებს მიიღებს, რათა უშიშარჰყოს ჩვენი დიადი სამშობლოს წმინდა საზღვრების ყველა მისასვლელი.

ფინეთის სამხედრო ხროვის ბანდიტური გამოლაშქრების საპასუხოდ ჩვენ კიდევ უფრო ფართოდ გავშლით მძლავრ სტახანოვურ მოძრაობას და ყველა საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულების საშუალებით განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირის სამხედრო და სამეურნეო ძლიერებას". (საქდესი).

ომის პროვოკატორების დარტყმას ვუპასუხებთ სამმაგი დარტყმით

გუშინ საღამოს, როცა № ნაწილში მიღებულ იქნა გაზეთები, სადაც აწერილია ფინეთის სამხედრო ხროვის პროვოკაციული საქციელი ფინეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე, გაიმართა წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელდახელო მიტინგი.

უფროსმა პოლიტხელმა ამხ. ნოვიკოვმა მიტინგს გააცნო ფინეთის სამხედრო ხროვის მიერ საბჭოთა ტერიტორიისათვის არტილერიის დაშენის ამბავი.

მან აგრეთვე მიტინგის მონაწილეებს გააცნო საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა ფინეთის მთავრობისადმი.

წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები გამოსთქვამდნენ მრისხანე აღშფოთებას ფინეთის სამხედრო ხროვის ამ არნახული თავხედური პროვოკაციის გამო.

მიტინგზე მგზნებარე პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა წითელარმიელმა ამხ. ზვეზდაკოვმა.—თუ ფინელი ტაკიმასხარები არ შესწყვეტენ ამ სახიფათო თამაშს,—განაცხადა მან,—რასაც ისინი ინგლისის იმპერიალისტების კარნახით აწარმოებენ, —ისინი მალე მოიმკიან ბ-ნი ბეკის „დაფნის გვირგვინს". ფინეთ-საბჭოთა საზღვარზე მომხდარი პროვოკაციები დაუყოვნებლივ უნდა იქნას აღმოფხვრილი.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და გამოსთქვამენ სრულ მზადყოფნას პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე ეკვეთონ მტერს და გაანადგურონ იგი მისსავე ტერიტორიაზე.

კიდევ უფრო კარგად შევასრულებთ საბრძოლო ვახტს

კრონშტადტი, 27 ნოემბერი (საკდესი). ჩვენ, მებრძოლნი და მეთაურნი, რომელნიც ვახტს ვასრულებთ № ნაწილში, უაღრესად აღშფოთებული ვართ ფინეთის სამხედრო ხროვის თავხედური პროვოკაციით. ჩვენ ვკისრულობთ კიდევ უფრო კარგად შევასრულოთ ვახტი ჩვენდამი რწმუნებულ უბანში. თუ სამშობლო მოითხოვს ჩვენგან საბრძოლო მოქმედებას, ჩვენ ისეთ გაკვეთილს წავუკითხავთ ომის პროვოკატორებს, რომელსაც ისინი არასოდეს არ დაივიწყებენ.

დეე იცოდნენ ფინეთის გათავხედებულმა მმართველებმა, რომ, თუ ისინი მომავალშიაც აჰყვებიან ომის გამჩაღებელთ, მაშინ ისინი თავის უსახელო გზას ისევე დაამთავრებენ, როგორც დაამთავრეს იგი ყოფილი პოლონეთის სახელმწიფოს უხეირო მმართველებმა.

№ ნაწილის მებრძოლთა და მეთაურთა მონდობილობით უმცროსი ლეიტენანტი კუდენკო, მებრძოლნი ელისოვი, დროზდი.

კოსტა ხეთაგუროვის იუბილე

ზეიმი ქალაქ სტალინირში

ოსეთის ხალხის ზეიმს იზიარებენ ჩვენი სამშობლოს მოძმე ხალხები. სამხრეთ-ოსეთის დედაქალაქს სტალინირს ესტუმრნენ მათი წარმომადგენლები, მწერლები მოსკოვიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, სომხეთიდან, ყალმუხეთიდან, მორდოვეთიდან, დაღესტნიდან, შორეული კარელიიდან, საიდაც მიპყრობილია ახლა დიადი საბჭოთა ხალხების ყურადღება.

საზეიმოდ, სადღესასწაულოდ განწყობილი ხვდება სტალინირი სტუმრებს.

27 ნოემბერს საღამოს 7 საათზე სამხრეთ-ოსეთის კულტურის სახლში შესდგა სტალინირის პარტიულ, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომა სსრკ მწერალთა კავშირის, მეცნიერებათა აკადემიის, მოძმე რესპუბლიკების და ოლქების წარმომადგენლებთან ერთად. სხდომა გახსნა სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. **ხუბაევმა**, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ კოსტა ხეთაგუროვის 80 წლის იუბილე—ოსეთის ხალხის კულტურული დღესასწაული ნამდვილ საყოველთაო სახალხო ზეიმად იქცა.

საქმიან პრეზიდიუმში საიუბილეო სხდომამ აირჩია ამხანაგები: **ა. ფადეევი, პოგოდინი, ლუპოლი, ი. თავაძე, ვ. ცხოვრებაშვილი, ხუბაევი, ი. აბაშიძე, გ. კიკნაძე, სვირსკი, ა. მაშაშვილი, ხ. ჩიქოვანი, ა. ხორავა, გასენკო, პეტრე კაპანაძე, სანაკოევი** და სხვები.

საპატიო პრეზიდიუმში ვაშას ძახილში და ტაშის გრიალში სხდომა ირჩევს ხალხთა ბელადს **სტალინს** და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს შემადგენლობას, აგრეთვე ამხანაგებს: **დიმიტროვს და ჩარკვიანს.**

ვრცელი მოხსენებით კოსტა ხეთაგუროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **კასაბიევი**. საბჭოთა კავშირის მწერლების სახელით ოს ხალხს მიესალმა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. **ა. ფადეევი**, რომელსაც კრება გულთბილად შეხვდა. მან მოაგონა დამსწრეთ დიდი **სტალინის** წერილი ნაციონალურ საკითხზე.

მეცნიერებათა აკადემიის სახელით მისალმებით გამოვიდა აკადემიკოსი ლუპოლი.

პოეტმა ალიო მაშაშვილმა მოიგონა ოსეთის შავბნელი წარსული და სთქვა: საბჭოთა საქართველოს გამარჯვებებმა, მოპოვებულმა ქართველი ხალხის სამაყო შვილის ლავრენტი **ბერიას** ხელმძღვანელობით, აალორძინეს სამხრეთ-ოსეთი, ააყვავეს მისი კულტურა. სტალინური სახკომის საყვარელი სახელის ხსენებას დარბაზი მქუხარე ოვაციებით შეხვდა.

უკრაინელმა პოეტმა გასენკომ თავისი მისალმება ლექსად წარმოსთქვა. მისასალმებელი სიტყვებითა და ლექსებით გამოვიდნენ აგრეთვე სომეხი მწერალი ვესპერი, უზბეკი მწერალი დავრანი, კარელი მწერალი კოლოსიონოკი, დაღესტნის სახალხო პოეტი გამზად ცადასოვი, ყალმუხი მწერალი დორჯიევი, საჩინო - ინგუშეთის პოეტი ინგიევი, ჩრდილო-ოსეთის მწერალი ბოციევი, სამხრეთ-ოსეთის მხატვართა და მოქანდაკეთა კავშირის ორგკომიტეტის თავმჯდომარე ტავასიევი, ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე გალაევი, საქ. ალკკ სამხრეთ-ოსეთის ოლქკომის მდივანი კუდუხოვა, ახალგაზრდა ოსი პოეტი კაბულოვი. გულთბილად შეხვდა სხდომა დარბაზში პიონერების გამოჩენას. პიონერმა გალია ბითოევამ წარმოსთქვა მგზნებარე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ოსი ახალგაზრდობა ღრმად სწავლობს დიდი პოეტის შემოქმედებას.

სხდომამ მიიღო მისასალმებელი დეპეშები ხალხთა დიდი ბელადის **სტალინის**, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვის**, სტალინური სახკომის ამხანაგ ლავრენტი **ბერიას**, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **ჩარკვიანის** და საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ბაქრაძის** სახელზე.

ამხ. ხუბაევმა ამცნო სხდომას, რომ პრეზიდიუმის სახელზე მიღებულია მისასალმებელი დეპეშები ამხ. ფ. მახარაძისაგან, ჩრდილოეთ - ოსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სახკომსაბჭოსაგან. სხდომაზე გამოქვეყნდა სამხრეთ-ოსეთის ცაკის დადგენილება სოფ. წუნარისათვის, სტალინირის თეატრისა და მუზეუმისათვის კოსტას სახელის მინიჭების შესახებ. კოსტას სახელი მიეკუთვნა აგრეთვე ჯავის საშუალო სკოლას. უმაღლეს სასწავლებლებში დაწესდა კოსტას სახელობის ხუთი სტიპენდია. სტალინირში აიგება პოეტის ძეგლი.

გ. აბულაძე

უფრო ფართოდ გავშლით ბრძოლას შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის

გუშინ თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის სამმართველოს მუშაკებს ელვის სისწრაფით მოედო აღმაშფოთებელი ცნობა ფინეთის ჯარის ნაწილების მიერ საბჭოთა ჯარისათვის პროვოკაციული სროლის ატეხის შესახებ. დღის 4 საათზე შესდგა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც ფინეთის სამხედრო ხროვის თავხედური პროვოკაციის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ლ. ლაფანაშვილი.

მიტინგზე გამოსულმა სტახანოველმა დურგალმა ამხ. დ. ტატუაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ყოველ მშრომელში სამართლიან აღშფოთებას იწვევს ომის გამჩაღებელთა თავხედური პროვოკაცია. პროვოკატორთა თავხედური მოქმედების საპასუხოდ, — სთქვა ამხ. ტატუაშვილმა, — ჩვენ კიდევ უფრო ფართოდ გავშლით სტახანოვურ მოძრაობას შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სამხედრო თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სოციალისტური სამშობლოსადმი, ჩვენი წითელი არმიისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით იყო აღსავსე მიტინგზე გამოსულთა: ინჟინერ ლ. წერეთელის, სტახანოველ გ. სააკაძის, მოძრაობის პირველი რაიონის პარტბიუროს მდივნის ამხ. ვ. შუბლაძის, გაზეთ „ბიუგელის" რედაქტორის ამხ. ვ. სიხარულიძის და სხვ. სიტყვები. ისინი ერთსულოვნად იწონებდნენ საბჭოთა მთავრობის ნოტას ფინეთის მთავრობისადმი.

ფინეთის სამხედრო ხროვის თავხედური პროვოკაცია

საბჭოთა კავშირის მეცადინეობით შექმნილია მშვიდობიანობის მძლავრი კერა ბალტიისპირა მხარეში. სსრ კავშირმა, დასდო რა ურთიერთდახმარების ხელშეკრულებანი ესტონეთთან, ლატვიასთან და ლიტვასთან, ამით უზრუნველჰყო თავისი საზღვრების უშიშროება და ბალტიისპირა ქვეყნების ხალხთა დაცვა იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრით შესაძლებელი ხელყოფისაგან.

ბუნებრივია, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის ზრუნვაში სსრ კავშირს არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა თავისი ჩრდილო-დასავლეთი საზღვრები. საბჭოთა კავშირს არა მარტო უფლება აქვს, არამედ იგი ვალდებულიც არის მიიღოს ზომები, რათა უზრუნველჰყოს საზღვაო და სახმელეთო მისასვლელები ლენინგრადისა, რომლის მოსახლეობა ფინეთის მოსახლეობას უდრის. საბჭოთა კავშირმა ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკება დაიწყო ფინეთთან. საბჭოთა კავშირმა ანგარიში გაუწია ფინეთს ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში. მას შემდეგ, რაც ფინეთმა უარჰყო წინადადება საბჭოთა კავშირთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების შესახებ იმ ხელშეკრულებათა ტიპის მიხედვით, რომლებიც დადებულია ესტონეთთან, ლატვიასთან და ლიტვასთან, სსრ კავშირმა წამოაყენა წინადადება ზოგიერთი ტერიტორიის გაცვლის შესახებ. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ რამდენიმე ათეული კილომეტრით გაწეულიყო ლენინგრადის ჩრდილოეთით საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარი კარელიის ყელზე. ნაცვლად ამ ტერიტორიისა, რომელიც საარსებოდ აუცილებელია სსრ კავშირის უშიშროებისათვის, და ტერიტორიებისა ზოგიერთ სხვა რაიონში, სსრ კავშირი თანხმობას აცხადებდა გადაეცა ფინეთისათვის ერთი-ორად უფრო დიდი ფართობი საბჭოთა კარელიაში. საბჭოთა კავშირის წინადადება ფინეთის უბის ჩრდილოეთ შესასვლელთან საბჭოთა ფლოტისათვის სამხედრო - საზღვაო ბაზის შექმნის შესახებ აგრეთვე შეესაბამება როგორც სსრ კავშირის, ისე ფინეთის ურთიერთ ინტერესებს, ვინაიდან სავსებით უზრუნველჰყოფს ფინეთის უბის უშიშროებას მესამე სახელმწიფოთა მხრით მტრული მოქმედების წინააღმდეგ.

მაგრამ, ყოველგვარი საღი მოსაზრების წინააღმდეგ, ფინეთის მმართველებმა საბჭოთა კავშირის წინადადებანი ფინეთის დამოუკიდებლობის ხელყოფად გამოაცხადეს და მოლაპარაკება შესწყვიტეს. ფინეთში გაჩაღებულ იქნა გააფთრებული ანტისაბჭოთა კამპანია. გამოყენებულ იქნა თავხედური სიცრუისა და ცილისწამების ნიაღვარი, რათა შეცდომაში შეეყვანათ ფინეთის ხალხი და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო შემდეგ ფინეთის პრემიერ-მინისტრიც გამოვიდნენ სიტყვებით, რომლებშიც თავხედურად მოუწოდებდნენ ომისაკენ სსრ კავშირის წინააღმდეგ. ფინეთის აღვირახსნილი სამხედრო ხროვა უკანასკნელ დღემდე პროვოკაციას პროვოკაციაზე აწყობდა. ეს ტაკიმასხარები არაფერს არ თაკილობდნენ, ოღონდ კი ეამებინათ თავიანთი ბატონ-პატრონებისათვის — ომის გამჩაღებლებისათვის, ცდილობენ რა ჩაითრიონ სსრ კავშირი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაში.

ფინეთის მთავრობამ ქვეყანა სამხედრო ბანაკად გადააქცია. ჩატარებულ იქნა სათადარიგოთა მობილიზაცია. მთავრობამ ძალდატანებით მოახდინა მთელი რიგი ქალაქების მოსახლეობის ევაკუაცია. ფინეთში შემოღებულია კანონი იძულებითი შრომის შესახებ, გადიდებულია სამუშაო დღე. ათეულათასობით ჯარისკაცები გადასროლილნი არიან საზღვრებზე, იტანჯებიან ტყეებსა და ჭაობებში, სათადარიგოთა ოჯახები ისე დარჩნენ, რომ არავითარი უზრუნველყოფა არ მოეპოვებათ. ფინეთის მთავრობას ხალხი საომარი საფრთხის შიშის ქვეშ ჰყავს.

ფინეთის ხალხმა კარგად იცის, რომ საბჭოთა კავშირი მას არ ემუქრება. ამის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს თვით ფაქტი ფინეთის არსებობისა, რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა საბჭოთა მთავრობისაგან მიიღო. მაგრამ, მიიღო რა დამოუკიდებლობა, ფინეთი მთელი შემდგომი წლების მანძილზე იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის ყველაზე დაუძინებელი მტრების ბანაკში და ერთგული ლაქია იყო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ზრახვების შესრულებაში. სამოქალაქო ომის წლებში ფინეთი, ანტანტის წინამძღოლობით, მონაწილეობს ინტერვენციაში სსრ კავშირის წინააღმდეგ. 1919-1922 წლებში თეთრფინები საბჭოთა კარელიის ფარგლებში იჭრებიან. 1922-25 წლებში ფინეთი აქტიურად მონაწილეობს ბალტიის ანტისაბჭოთა ბლოკში, რომლის ინიციატორებიც საფრანგეთი და პოლონეთი იყვნენ. ასეთია არასრული ნუსხა ფინეთის მმართველი წრეების მტრული ანტისაბჭოთა პოლიტიკის ფაქტებისა.

სსრ კავშირი არაერთხელ აფრთხილებდა და უკან ახევინებდა იმპერიალიზმის გათავხედებულ ქოფაკებს. მაგრამ, ეტყობა, წარსულის გაკვეთილებმა, პოლონეთის უხეირო მმართველთა ბედიღბალმა ვერაფერი ასწავლა ფინეთის მარიონეტებს. ისინი თავგამოდებით ეწევიან ქვეყანას დამღუპველი თამაშის გზაზე, რომელიც მის მონაწილეთა სრული კრახით დამთავრდება. უძლური, მაგრამ თავის გაბოროტებაში თავხედი ფინეთის სამხედრო ხროვა უკიდურესობამდე მივიდა. მან გაბედა თავისი ბინძური ხელის აღმართვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 26 ნოემბერს წითელი არმიის ნაწილებს ფინეთის ტერიტორიიდან მოულოდნელად საარტილერიო სროლა აუტეხეს. მოკლულია სამი წითელარმიელი და ერთი უმცროსი მეთაური, დაჭრილია შვიდი წითელარმიელი, ერთი უმცროსი მეთაური და ერთი უმცროსი ლეიტენანტი.

ფინეთის სამხედრო ხროვის თავხედურმა პროვოკაციამ საბჭოთა ხალხის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

სსრ კავშირის პასუხი მარტივი და ნათელია. პოლიტიკურ ყომარბაზთა ყოველგვარი პროვოკაციების მიუხედავად, ფინეთის სამხედრო ხროვის ყოველგვარი მუქარის მიუხედავად, საბჭოთა კავშირი შესძლებს უზრუნველჰყოს თავისი უშიშროება, თავისი წმინდათაწმინდა საზღვრების ურღვევობა.

ი. პეტროვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიისა

„საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების“ მე-79 მუხლის თანახმად, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების თბილისის საქალაქო, საარჩევნო კომისია იუწყება, რომ ქვემოდ დასახელებული პირნი სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეგისტრირებული არიან თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად.

№ 150 საარჩევნო ოლქი

კვაშაძე ალექსანდრე თომას-ძე, 1900 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, წამოყენებული თბილისის „მკერავის“ № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 253 საარჩევნო ოლქი

სიხარულიძე ვასილ ვლადიმერის-ძე, 1913 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) 26 კომისრის სახელობის რაიონის რაიკომის პირველი მდივანი, წამოყენებული თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საერთო კრების მიერ.

№ 77 საარჩევნო ოლქი

კვარაცხელია ლიდა ზოსიმეს-ასული, 1913 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი, თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს“ მრთველი, წამოყენებული თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს“ მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 93 საარჩევნო ოლქი

ჯანჯღავა სარდიონ პორფირეს-ძე, 1907 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე, წამოყენებული თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 106 საარჩევნო ოლქი

ჩუბინიძე არსენ დიმიტრის-ძე, 1912 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს ალკკ სტალინის რაიონის რაიკომის მდივანი, წამოყენებული ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 114 საარჩევნო ოლქი

როსტომაშვილი თამარ დიმიტრის-ასული, 1904 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი, წამოყენებული თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 406 საარჩევნო ოლქი

არუთინოვი ტიგრან (არუთინ) გაბრიელის-ძე, 1883 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილმშენის მე-3 სამშენებლო კანტორის უფროსი, წამოყენებული თბილმშენის № 3 სამშენებლო კანტორის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 376 საარჩევნო ოლქი

უღენტი ვლადიმერ ყაფლანის-ძე, 1891 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, წამოყენებული თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალისა და სტუდენტთა საერთო კრების მიერ.

№ 370 საარჩევნო ოლქი

ტატიშვილი გიორგი ალექსის-ძე, 1911 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს ალკკ ბერიას სახელობის რაიონის რაიკომის მდივანი, წამოყენებული ცეკავშირის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 198 საარჩევნო ოლქი

ბიჩენკო პავლე მიხეილის-ძე, 1905 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი, წამოყენებული თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 167 საარჩევნო ოლქი

ყარაშვილი ნინო ესტატეს-ასული, 1894 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, მოლოტოვის რაიონის 1-ლი უბნის მოსამართლე, წამოყენებული მოლოტოვის რაიონის პროკურატურისა და მილიციის მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 161 საარჩევნო ოლქი

კეკელია ეკატერინე ივანეს-ასული, 1890 წელს დაბადებული, უპარტიო, მე-100 საშუალო სკოლის პედაგოგი, წამოყენებული მე-100 საშუალო სკოლის პედაგოგთა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 141 საარჩევნო ოლქი

სამარჩიანი ნიკიტა გუკასის-ძე, 1892 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის „სოიუზუნივერმაგის“ კომერციული დირექტორი, წამოყენებული თბილისის „სოიუზუნივერმაგის“ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 188 საარჩევნო ოლქი

არლანაშვილი ნიკოლოზ თევდორეს-ძე, 1905 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსი, წამოყენებული თბილმშენის მოპირკეთების სამუშაოთა კანტორის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 149 საარჩევნო ოლქი

ეული (ქურიძე) ალექსანდრე ქიშვარდის-ძე, 1890 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, პოეტი, წამოყენებული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ქიმიური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალისა და სტუდენტების საერთო კრების მიერ.

№ 192 საარჩევნო ოლქი

ანანიაშვილი მარიამ სიმონის-ასული, 1907 წელს დაბადებული, უპარტიო, მოლოტოვის რაიონის დეპუტატთა ჯგუფის მდივანი, წამოყენებული მოლოტოვის სახელობის რაიონის საბინაო სამმართველოს სარემონტო კანტორის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 214 საარჩევნო ოლქი

ამირჯანოვი სუმბატ მარტინის-ძე, 1886 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მე-4 საამქროს ოსტატი, წამოყენებული თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 191 საარჩევნო ოლქი

მუხაძე გრიგოლ მიხეილის-ძე, 1879 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, წამოყენებული თბილისის ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის მედიცინის მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 460 საარჩევნო ოლქი

მჭედლიძე პაშა ვასილის-ასული, 1904 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი, წამოყენებული თბილისის ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალისა და სტუდენტთა საერთო კრების მიერ.

№ 445 საარჩევნო ოლქი

ხარაძე არჩილ კირილეს-ძე, 1895 წელს დაბადებული, უპარტიო, საქართველოს სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, წამოყენებული საქართველოს სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალისა და სტუდენტთა საერთო კრების მიერ.

№ 458 საარჩევნო ოლქი

ვერულაშვილი იულია ზოტიკეს-ასული, 1893 წელს დაბადებული, უპარტიო, მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელი, წამოყენებული ორჯონიკიძის სახელობის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგთა საერთო კრების მიერ.

№ 437 საარჩევნო ოლქი

ფარჯანაძე შალვა კონსტანტინეს-ძე, 1905 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმი, წამოყენებული თბილისის კურორტოლოგიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის მედპერსონალისა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 457 საარჩევნო ოლქი

სიხარულიძე ალექსანდრა ვლადიმერის-ასული, 1913 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი, წამოყენებული თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 477 საარჩევნო ოლქი

დოლიძე გიორგი ილიას-ძე, 1904 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქვაბე საამქროს გამგე, წამოყენებული თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 490 საარჩევნო ოლქი

ისმაილ ბაბა ოღლი, 1885 წელს დაბადებული, უპარტიო, ხრამჰესმშენის ავტობაზის მუშა, წამოყენებული ხრამჰესმშენის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 157 საარჩევნო ოლქი

ბუჯიაშვილი კონსტანტინე დიმიტრის-ძე, 1904 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქქარხმშენის ტრესტის მმართველი, წამოყენებული საქპურტრესტის გარაჟის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 163 საარჩევნო ოლქი

ბურჭულაძე აკაკი სამსონის-ძე, 1907 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, თბილისის „მკერავის“ № 1 სამკერვალო ფაბრიკის ინჟინერ-ელექტრიკოსი, წამოყენებული თბილისის „მკერავის“ № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 223 საარჩევნო ოლქი

წივწივაძე ლევან გიორგის-ძე, 1915 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, მე-52 საშუალო სკოლის პედაგოგი, წამოყენებული მოლოტოვის სახელობის დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგთა საერთო კრების მიერ.

№ 185 საარჩევნო ოლქი

გეგია ლუბა გიორგის-ასული, 1914 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის „მკერავის“ № 1 სამკერვალო ფაბრიკის ინსტრუქტორი; წამოყენებული თბილისის „მკერავის“ № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 186 საარჩევნო ოლქი

ბუკია ბორის სამსონის-ძე, 1907 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი, თბილისის თბოელექტროცენტრალის მშენებლობის უფროსი; წამოყენებული თბილისის თბოელექტროცენტრალის მშენებლობის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 158 საარჩევნო ოლქი

იაკობიძე აკაკი მიხეილის-ძე, 1895 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი, წამოყენებული ნავთგასაღების მთავარ სამმართველოს საქართველოს კანტორის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 196 საარჩევნო ოლქი

გოცაძე კალისტრატე მიხეილის-ძე, 1893 წელს დაბადებული, უპარტიო, მე-4 პოლიკლინიკის გამგე, წამოყენებული მოლოტოვის რაიონის სამედიცინო-სანიტარიო დაწესებულებათა მუშაკების საერთო კრების მიერ.

№ 222 საარჩევნო ოლქი

არუთინოვი სარქის ასატურის-ძე, 1906 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკის დირექტორი, წამოყენებული თბილისის ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 182 საარჩევნო ოლქი

ბასმანოვა ანასტასია სიმონის-ასული, 1906 წელს დაბადებული, უპარტიო, მოლოტოვის სახელობის რაიონის საბინაო სამმართველოს სახლების მმართველი, წამოყენებული მოლოტოვის რაიონის საბინაო სამმართველოს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 381 საარჩევნო ოლქი

ცქიტიშვილი გიორგი ილიას-ძე, 1901 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პარტბიუროს მდივანი, წამოყენებული საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 389 საარჩევნო ოლქი

კეცხოველი ივანე ზაქარიას-ძე, 1880 წელს დაბადებული, უპარტიო, ცეკავშირის სტატისტიკურ-ოპერატიული განყოფილების უფროსი, წამოყენებული ცეკავშირის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 390 საარჩევნო ოლქი

აბაკელია თამარ გრიგოლის-ასული, 1905 წელს დაბადებული, უპარტიო, მხატვარი, წამოყენებული საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 403 საარჩევნო ოლქი

ლელინი ბორის ივანეს-ძე, 1909 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე, წამოყენებული მოლოტოვის სახელობის თბილისის ავეჯის ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 410 საარჩევნო ოლქი

ლომიძე მიხეილ ყარამანის-ძე, 1899 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე, წამოყენებული საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 57 საარჩევნო ოლქი

ფირცხალავა ელისაბედ მიხეილის-ასული, 1910 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის მე-7 სამკერვალო და საგამომჭრელო ფაბრიკის სამკერვალო აგრეგატის ინსტრუქტორი, წამოყენებული მე-7 სამკერვალო და საგამომჭრელო ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 2 საარჩევნო ოლქი

ჩაგუნავა კონსტანტინე ნესტორის-ძე, 1903 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ამიერკავკასიის რკინიგზის მე-3 საექსპლუატაციო განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსი, წამოყენებული ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საელექტრომავლო დეპოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 23 საარჩევნო ოლქი

კალანდია სიდონია ივანეს-ასული, 1893 წელს დაბადებული, უპარტიო, მე-30 საშუალო სკოლის პედაგოგი, წამოყენებული ლენინის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგთა საერთო კრების მიერ.

№ 29 საარჩევნო ოლქი

სალაძე ვლადიმერ ერემიას-ძე, 1906 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის აღმსრულებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, წამოყენებული თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 33 საარჩევნო ოლქი

ჯავახიშვილი თამარ დიმიტრის-ასული, 1909 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის მე-7 სამკერვალო და საგამომჭრელო ფაბრიკის ბუღალტერი, წამოყენებული მე-7 სამკერვალო და საგამომჭრელო ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 34 საარჩევნო ოლქი

შირინი ნიკოლოზ სერგეის-ძე, 1901 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის საელექტრომავლო დეპოს მშენებლობის უფროსი, წამოყენებული თბილისის საელექტრომავლო დეპოს მშენებლობის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 39 საარჩევნო ოლქი

კალანდაძე შუშანა კაციას-ასული, 1907 წელს დაბადებული, უპარტიო, ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის დარგის მე-3 განყოფილების ინჟინერი შრომის ხაზით, წამოყენებული ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის დარგის მე-3 განყოფილების მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 16 საარჩევნო ოლქი

უსტინოვა ვალენტინა დიმიტრის-ასული, 1900 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის მე-7 სამკერვალო და საგამომჭრელო ფაბრიკის დირექტორი, წამოყენებული თბილისის მე-7 სამკერვალო და საგამომჭრელო ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 60 საარჩევნო ოლქი

ზუროვა ელისაბედ ნიკოლოზის-ასული, 1909 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მეკუპნავე, წამოყენებული თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 37 საარჩევნო ოლქი

მათიაშვილი გიორგი დავითის-ძე, 1906 წელს დაბადებული, უპარტიო, არტელ „ფანერის“ დამხარისხებელი საამქროს დამხმარე მუშა, წამოყენებული არტელ „ფანერის“ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 46 საარჩევნო ოლქი

ბატონისაშვილი ოლღა თედორეს-ასული, 1913 წელს დაბადებული, უპარტიო, ინჟინერი, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების ინსპექტორი, წამოყენებული თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 87 საარჩევნო ოლქი

ზენაშვილი არჩილ მიხეილის-ძე, 1902 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის საბჭოს წყალკანალის ტრესტის მთავარი ინჟინერი, წამოყენებული საქპურტრესტის № 1 პურის ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 352 საარჩევნო ოლქი

ეპიტაშვილი ნინო ზაქარიას-ასული, 1903 წელს დაბადებული, უპარტიო, საქტრიკოტაჟის ფაბრიკის მნემსავი, წამოყენებული საქტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 329 საარჩევნო ოლქი

ჯალალოვი მარტინ გრიგოლის-ძე, 1903 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის სტალინის სახელობის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი, წამოყენებული „სოიუზუტილის“ კანტორის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 330 საარჩევნო ოლქი

ჰელიძე სერგო სარდიონის-ძე, 1905 წელს დაბადებული. საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი, წამოყენებული თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 334 საარჩევნო ოლქი

მარუხიანი რაფიკ სამსონის-ძე, 1920 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, თბილისის „მკერავის“ № 2 სამკერვალო ფაბრიკის მუშა, წამოყენებული თბილისის „მკერავის“ № 2 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 344 საარჩევნო ოლქი

ბეჟანიშვილი ანა ალექსანდრეს-ასული, 1900 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის ბამბის ფაბრიკის სტახანოველი მწნეხელი, წამოყენებული სარეწაო საბჭოს საფეიქრო-სამკერვალო კავშირის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 359 საარჩევნო ოლქი

სობესტიანსკი ედმუნდ მიხეილის-ძე, 1867 წელს დაბადებული, უპარტიო, დედათა და ბავშვთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი, წამოყენებული კიროვის რაიონის სამკურნალო დაწესებულებათა მედპერსონალისა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 332 საარჩევნო ოლქი

მელიქოვი ემილ ალექსანდრეს-ძე, 1902 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღრიცხვის სექტორის გამგე, წამოყენებული თბილისის „მკერავის“ № 6 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 231 საარჩევნო ოლქი

ჩხარტიშვილი სევერიან კაპიტონის-ძე, 1911 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროთა და სახელმწიფო კრედიტის თბილისის სამმართველოს უფროსი, წამოყენებული წყალკანალტრესტის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 233 საარჩევნო ოლქი

გელეიშვილი იონა რაჟდენის-ძე, 1904 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, წყალკანალტრესტის მმართველი, წამოყენებული მეორე რაიონის ტრამვაის პარკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საერთო კრების მიერ.

№ 280 საარჩევნო ოლქი

ღლონტი როზალია ივანეს-ასული, 1898 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, 26 კომისრის სახელობის რაიონის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობათა შემსრულებელი, წამოყენებული თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საერთო კრების მიერ.

№ 281 საარჩევნო ოლქი

გოგავა გრიგოლ ერმალოზის-ძე, 1908 წელს დაბადებული, უპარტიო „ინჟმშენის“ ტრესტის მთავარი ინჟინერი, წამოყენებული 26 კომისრის სახელობის რაიონის საბინაო მეურნეობის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 283 საარჩევნო ოლქი

ჩხაიძე ვლადიმერ ნესტორის-ძე, 1882 წელს დაბადებული, უპარტიო, ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ნავთლუღის უფროსი, წამოყენებული ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ნავთლუღის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 286 საარჩევნო ოლქი

სახუაშვილი მათე ივანეს-ძე, 1915 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის მაკარონის ფაბრიკის საამქროს ოსტატი, წამოყენებული თბილისის მაკარონის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 288 საარჩევნო ოლქი

აკოფოვა სუსანა ივანეს-ასული, 1905 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი, № 116 საბავშვო ბაღის გამგე, წამოყენებული 26 კომისრის სახელობის რაიონის პედაგოგიური პერსონალისა და ბიბლიოთეკების მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 291 საარჩევნო ოლქი

ბერძენიშვილი ოლღა ალექსანდრეს-ასული, 1890 წელს დაბადებული უპარტიო, თბილისის № 1 საშაქარლამო ფაბრიკის კარამელის საამქროს მხვეველი, წამოყენებული თბილისის № 1 საშაქარლამო ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 298 საარჩევნო ოლქი

პაპუნაშვილი დავით ალექსის-ძე, 1912 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი, ორდენოსანი, პილოტი, წამოყენებული თბილისის აერონავსადგურის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 301 საარჩევნო ოლქი

ალიხანიანი ისაკ სიმონის-ძე, 1876 წელს დაბადებული, უპარტიო, სახალხო არტისტი, წამოყენებული სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის საერთო კრების მიერ.

№ 306 საარჩევნო ოლქი

უდანოვა მარიამ უსტინის-ასული, 1910 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის „საქკვებტარის“ ქარხნის ყუთის შემკვრელი, წამოყენებული თბილისის „საქკვებტარის“ ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 310 საარჩევნო ოლქი

ფრანგულიანი ბარბალე ისააკის-ასული, 1899 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის მარგარინის ქარხნის კნეტ-მანქანის მუშა, წამოყენებული თბილისის მარგარინის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 239 საარჩევნო ოლქი

ბაქრაძე შალვა რომანის-ძე, 1902 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის საბჭოს საერთო განყოფილების გამგე, წამოყენებული 26 კომისრის სახელობის რაიონის საბინაო მეურნეობის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 240 საარჩევნო ოლქი

ემგვერაძე დომენტი გიორგის-ძე, 1905 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის სათბობის საქალაქო განყოფილების მმართველი, წამოყენებული, 26 კომისრის სახელობის რაიონის სავაჭრო განყოფილების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 243 საარჩევნო ოლქი

კუზანოვი სარქის ალექსანდრეს-ძე, 1911 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის მაკარონის ფაბრიკის მგლინავი, წამოყენებული თბილისის მაკარონის ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 131 საარჩევნო ოლქი

წულუკიძე ნინო ვარლამის-ასული, 1913 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, თბილისის მე-33 საშუალო სკოლის პედაგოგი, წამოყენებული სტალინის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგთა საერთო კრების მიერ.

№ 72 საარჩევნო ოლქი

ფრუიძე გრიგოლ მიხეილის-ძე, 1901 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი, წამოყენებული თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური დარგის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 115 საარჩევნო ოლქი

მდინარაძე ეკატერინე ფილიპეს-ასული, 1890 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის ფარმაკოლოგიურ-ქიმიური ქარხნის საამპულო საამქროს მუშა, წამოყენებული თბილისის ფარმაკოლოგიურ-ქიმიური ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 118 საარჩევნო ოლქი

ალიმბარაშვილი ელისაბედ დიმიტრის-ასული, 1885 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მწეწავი, წამოყენებული თბილისის თამბაქოს ფაბრიკის, მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 180 საარჩევნო ოლქი

მიქაუტაძე ნინო გრამიტონის-ასული, 1913 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, თბილისის № 1 ლუდის ქარხნის ქიმიკოსი, წამოყენებული თბილისის № 1 ლუდის ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 108 საარჩევნო ოლქი

შენგელაია ნიკოლოზ მიხეილის-ძე, 1903 წელს დაბადებული, უპარტიო, კინორეჟისორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, წამოყენებული თბილისის კინოსტუდიის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 342 საარჩევნო ოლქი

მალანია ცაბუ გიორგის-ასული, 1908 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, კიროვის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების ფერშალი, წამოყენებული 1-ლი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მედპერსონალის, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 333 საარჩევნო ოლქი

ავანესიანი მარიამ სერგეის-ასული, 1908 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, არტელ „მკერავთა კომუნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე კულტმასობრივი მუშაობის დარგში და ამ არტელის პარტბიუროს მდივანი, წამოყენებული არტელ „მკერავთა კომუნის“ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 317 საარჩევნო ოლქი

თუნთია ბორის ონიფანტეს-ძე, 1899 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თელასის ტრესტის მმართველი, წამოყენებული კიროვის სახელობის რაიონის ქალაქის დამსუფთავებელი ტრესტის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 338 საარჩევნო ოლქი

მხითარიანი ნაზარეთ მჭერის-ძე, 1913 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, მე-79 საშუალო სკოლის პედაგოგი, წამოყენებული საქტყემრეწვკავშირის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 343 საარჩევნო ოლქი

გაიოვა ანა ბართლომეს-ასული, 1904 წელს დაბადებული, უპარტიო, კიროვის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების დედათა და ბავშვთა დაცვის ექიმი - ინსპექტორი, წამოყენებული კიროვის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების მედპერსონალის, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 365 საარჩევნო ოლქი

ლეკიშვილი მიხეილ ალექსანდრეს-ძე, 1905 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის აგრობიოლოგიური სადგურის ზოოტექნიკოსი, წამოყენებული თბილისის აგრობიოლოგიური სადგურის და მე-23 საშუალო სკოლის პედაგოგიური პერსონალის, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 366 საარჩევნო ოლქი

ჩიტაიშვილი ელენე გრიგოლის-ასული, 1910 წელს დაბადებული, უპარტიო, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სპეცგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, წამოყენებული საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 337 საარჩევნო ოლქი

ლორთქიფანიძე ნიკოლოზ იასონის-ძე, 1900 წელს დაბადებული, უპარტიო, საქართველოს სსრ თბილისის კომუნალური ბანკის მთავარი კონტროლიორი, წამოყენებული საქართველოს სსრ თბილისის კომუნალური ბანკის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 340 საარჩევნო ოლქი

მამედოვი ეიუბ მურად ოღლი, 1907 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, მე-97 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, წამოყენებული თბილისის სამაცივარო კომბინატის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 248 საარჩევნო ოლქი

მოვჯორიანი მარიამ პეტრეს-ასული, 1904 წელს დაბადებული, უპარტიო, სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, წამოყენებული სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა კოლექტივის საერთო კრების მიერ.

№ 251 საარჩევნო ოლქი

დარაშვილი ვასილ სოლომონის-ძე, 1915 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს ალკკ 26 კომისრის სახელობის რაიონის რაიკომის მდივანი, წამოყენებული 26 კომისრის სახელობის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგთა საერთო კრების მიერ.

№ 325 საარჩევნო ოლქი

ივანიშვილი მიხეილ სპირიდონის-ძე, 1896 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგის მოადგილე, წამოყენებული ბალნეოლოგიური კურორტის საბაზანო შენობის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 419 საარჩევნო ოლქი

ქადაგიძე გიორგი დიომიდეს-ძე, 1910 წელს დაბადებული, უპარტიო, ლიმმანტრესტის მთავარი აგრონომი, წამოყენებული ლიმმანტრესტის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 408 საარჩევნო ოლქი

მშვენიერაძე სირან მაკარის-ასული, 1905 წელს დაბადებული, უპარტიო, დიასახლისი, წამოყენებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბერიას სახელობის რაიონის საორგანიზაციო კომიტეტის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 398 საარჩევნო ოლქი

განგია კონსტანტინე ვახტანგის-ძე, 1908 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორი, წამოყენებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 411 საარჩევნო ოლქი

დარახველიძე თამარ მიხეილის-ასული, 1905 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, მე-8 საშუალო სკოლის დირექტორი, წამოყენებული ბერიას სახელობის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების პედაგოგიური პერსონალის საერთო კრების მიერ.

№ 345 საარჩევნო ოლქი

მარტიროსოვა თამარ ალექსანდრეს-ასული, 1896 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილვაჭრობის სამკერვალო კომბინატის მკერვალი, წამოყენებული თბილვაჭრობის სამკერვალო კომბინატის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 326 საარჩევნო ოლქი

სარუხანოვი არშაკ ნიკოლოზის-ძე, 1900 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის თანაშემწე, წამოყენებული მონკავშირის დამხმარე წარმოების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 357 საარჩევნო ოლქი

ბეზმენოვა ზინაიდა ანდრიას-ასული, 1908 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის საპნის ქარხნის საპნის მჭრელი, წამოყენებული თბილისის საპნის ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 82 საარჩევნო ოლქი

ყორანაშვილი ნინო ივანეს-ასული, 1912 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს მონაგარიშე, წამოყენებული თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 355 საარჩევნო ოლქი

პეტროსიანი არშაკ მადათის-ძე, 1896 წელს დაბადებული, უპარტიო, კიროვის რაიონის ქალაქის დამსუფთავებელი ტრესტის მჭედელი, წამოყენებული კიროვის რაიონის ქალაქის დამსუფთავებელი ტრესტის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
დ. ჭიჭინაძე
თავმჯდომარის მოადგილე ქ. ერისთავი
მდივანი ა. კვაჭაძე

კომისიის წევრები:
ა. აბესაძე
ნ. მარკოზაშვილი
ქ. ზავრიევი
დ. შენგელაია
ე. გვარამაძე
ა. ტოჩილინი
გ. ცქიტიშვილი
მ. ჩუბინიძე
გ. ანთელიძე
თ. ქათამაძე
ს. ამირჯანოვი
ნ. ჩარკვიანი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებით საკ. კ. პ.(ბ) რიგებიდან გარიცხულნი არიან:

ჯიშკარიანი, პავლე ტარასის-ძე — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან, პარტბილეთი № 2859579, [illegible]

ტაში-ზადე, ტაგი — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარ. № 0925266, [illegible] უცხო ქვეშევრდომთან [illegible]

ბაკურაძე, ილია დიმიტრის-ძე — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1918 წლიდან, პარტბილეთი № 1505459, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ავტომანქანის ავარიისათვის.

ნანაძე, ნოე სიმონის-ძე — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1918 წლიდან, პარტბილეთი № 1510225, [illegible]

[illegible] — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარ. № 2164422, [illegible]

მინასიანი, ომანეს ალექსანდრის-ძე — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1928 წლიდან, პარტბილეთი № 1502992, [illegible]

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სტახანოველთა შეკრება

ჭიათურა, 25 ნოემბერი (საქ. ტელ.). [illegible]

[illegible]

ლი ბიბლიოთეკა

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა დაჯილდოება

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი საგამოფენო კომიტეტის 1939 წ. 20 ნოემბრის დადგენილებით სოფლის მეურნეობაში შესანიშნავი წარმატებებისათვის და სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის მაჩვენებელთა გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ-დან დაჯილდოებული არიან:

პირველი ხარისხის დიპლომით, ათიათასი მანეთით და მსუბუქი მანქანით:

1. ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (მახარაძის რაიონი), რომელმაც 1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 2.620,95 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

2. ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ჩხოროწყუს რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 3.476 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

3. ურეკის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობა (მახარაძის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო ციტრუსოვანთა ნაყოფის საშუალო მოსავალი 709 ცალი, სრულსაკოვან ხეზე გადაყვანით.

4. კოხორის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობა (აფხაზეთის ასსრ გალის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ციტრუსოვანთა ნაყოფის საშუალო მოსავალი 525 ცალი, სრულსაკოვან ხეზე გადაყვანით.

5. ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა (სიღნაღის რაიონი)—1938 წელს მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: ყურძენი — 74,7 ცენტნერი, კურკოვანი ნაყოფი — 64,4 ცენტნერი; ვაზის სანერგეში მიიღო სტანდარტული ნერგის გამოსავლიანობა 86,1 პროცენტი.

6. სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (აფხაზეთის ასსრ გალის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: ჩაის მწვანე ფოთოლი—2.687 კილოგრამი, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით, „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო—9,7 ცენტნერი, ტუნგოს ნაყოფი—33,78 ცენტნერი.

7. სოფ. დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა (აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: ჩაის მწვანე ფოთოლი—4.537,3 კილოგრამი, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით, ციტრუსოვანთა ნაყოფი—459 ცალი, სრულსაკოვან ხეზე გადაყვანით.

8. სოფ. მაღლაკის კოლმეურნეობა „მოწინავე პირველი“ (წყალტუბოს რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 4.732 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

9. სოფ. ხელვაჩაურის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“ (აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ციტრუსოვანთა ნაყოფის საშუალო მოსავალი 628 ცალი, სრულსაკოვან ხეზე გადაყვანით.

10. სოფ. კარდანახის კოლმეურნეობა „წითელი მარანი“ (გურჯაანის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ყურძნის საშუალო მოსავალი 84,31 ცენტნერი ჰექტარზე.

11. სოფ. ლუქსემბურგის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა (ლუქსემბურგის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: ყურძენი — 66,3 ცენტნერი, თამბაქო — 17,8 ცენტნერი; მიიღო ახალი ვაზის გახარება 94,5 პროცენტი; მიიღო 54,1 კილოგრამი აბრეშუმის პარკი კოლოფ თესლზე.

12. სოფ. ნოსტეს კოლმეურნეობა „სინათლე“ (კასპის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავალი 211,3 ცენტნერი ჰექტარზე.

13. სოფ. ოთარას სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 3.234 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

14. სოფ. ჩაღუნიანის კოლმეურნეობა „წითელი დროშა“ (ლაგოდეხის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო „ტრაპეზუნდის“ ჯიშის თამბაქოს საშუალო მოსავალი ჰექტარზე 21,5 ცენტნერი, მარცვლეული კულტურები—14,0 ცენტნერი ჰექტარზე.

15. სოფ. წყალთბილას კოლმეურნეობა „წითელი მესაზღვრე“ (ახალციხის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: კარტოფილი—173,55 ცენტნერი, სიმინდი—24.45 ცენტნერი, „უკრაინკის“ ჯიშის საშემოდგომო ხორბალი—16,15 ცენტნერი.

16. სოფ. ახურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ([illegible] რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: ყურძენი—69,3 ცენტნერი, კარტოფილი—155,75 ცენტნერი, სიმინდი—20,65 ცენტნ., საკვები ჭარხალი—977,9 ცენტ.; არამსხმოიარე ბაღში მიაღწია 95.8 პროცენტ გახარებას, ახალგაზრდა ვენახში—94,75 პროც.

17. სოფ. ზედა ციხესულორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (ვანის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: არახისი—19,75 ცენტნ., სოია—15,67 ცენტნ., სიმინდი — 19,14 ცენტნ.

18. სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ მეცხვარეობის სასაქონლო ფერმა (წითელწყაროს რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო თუშური ჯიშის მოზრდილ ცხვარზე საშუალოდ 2,8 კილოგრამი მატყლი.

19. ულიანოვკის მტს-ი (სიღნაღის რაიონი)—1937-1938 წ. წ. თავისი მომსახურების კოლმეურნეობებში მიიღო მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავალი ჰექტარზე 11.02 ცენტნერი და გამოიმუშავა „სტზ“ მარკის ტრაქტორზე—736 ჰექტარი, ხოლო „ჩტზ“ მარკის ტრაქტორზე—1.382 ჰექტარი.

20. საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — მოამზადა სხვადასხვა სპეციალობის 5.469 მაღალკვალიფიციური აგრონომი და 1937-1938 წ. წ. შეადგინა სოფლის მეურნეობის 35 სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

21. სოფ. ალპინის კოლმეურნეობა „ბოლშევიკი“ (აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს საშუალო მოსავალი 12,42 ცენტნერი ჰექტარზე.

მეორე ხარისხის დიპლომით, ხუთი ათასი მანეთით და მოტოციკლით:

1. სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 2.836,5 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

2. ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (აჭარის ასსრ (ქობულეთის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 2.858 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

3. აჭარის ასსრ მიწსახკომის პირველი სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობა (ბათუმის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 3.307 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

4. ჯოლეჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ზუგდიდის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 2.686 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

5. აჭარის ასსრ მიწსახკომის მეორე სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობა (ბათუმის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 3.200 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

6. ალამბარის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობა (აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ციტრუსოვანთა ნაყოფის საშუალო მოსავალი 666 ცალი, სრულსაკოვან ხეზე გადაყვანით.

7. ცეცხლაურის ციტრუსოვანი საბჭოთა მეურნეობა (აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ციტრუსოვანთა ნაყოფის საშუალო მოსავალი 646 ცალი, სრულსაკოვან ხეზე გადაყვანით.

8. გონიოს ბერიას სახელობის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობა (აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ციტრუსოვანთა ნაყოფის საშუალო მოსავალი 481 ცალი, სრულსაკოვან ხეზე გადაყვანით.

9. მუხაესტატეს კიროვის სახელობის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობა (აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო ციტრუსოვანთა ნაყოფის საშუალო მოსავალი 456 ცალი, სრულსაკოვან ხეზე გადაყვანით.

10. ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობა (მახარაძის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ციტრუსოვანთა ნაყოფის საშუალო მოსავალი 520 ცალი, სრულსაკოვან ხეზე გადაყვანით.

11. ფოთის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობა „გრეიპფრუტი“ — 1937-1938 წ. წ. მიიღო გრეიპფრუტის საშუალო მოსავალი 34 ცალი, სრულმოსავლიან ხეზე გადაყვანით.

12. კოლხიდმშენის ევკალიპტის სანერგე (ფოთის რაიონი)—1937-1938 წ.წ. მიიღო საშუალოდ 16.400 ძირი ნერგი კილოგრამ ევკალიპტის თესლზე.

13. სოფ. ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა (აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 4.226 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

14. სოფ. აჭყვის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“ (აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 4.271 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

15. სოფ. ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა (აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 3.847 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

16. სოფ. ალამბრის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობა (აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 3.274 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

17. სოფ. ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 3.063 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

18. სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (მახარაძის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 2.820,5 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

19. სოფ. ინგირის კოლმეურნეობა „ინგირი“ (ზუგდიდის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 2.224 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

20. სოფ. ონოღიის კოლმეურნეობა „მშრომელი ონოღია“ (გეგეჭკორის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 3,112 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

21. სოფ. თერნალის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა (წყალტუბოს რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 5.602 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

22. სოფ. ზარათის კოლმეურნეობა „წითელი ზარათი“ (ქუთაისის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 4.958 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

23. სოფ. ქოლევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (ქუთაისის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 3.837 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

24. სოფ. გონიოს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობა (აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ციტრუსოვანთა ნაყოფის საშუალო მოსავალი 620 ცალი, სრულსაკოვან ხეზე გადაყვანით.

25. სოფ. ვარციხის კოლმეურნეობა „წინსვლა“ (ბაღდათის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიაღწია ვაზის გახარებას საშუალოდ 98,25 პროცენტით.

26. სოფ. ქვედა ბუგეულის კოლმეურნეობა „შალა“ (ამბროლაურის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ყურძნის საშუალო მოსავალი 61,36 ცენტნერი ჰექტარზე.

27. სოფ. მეორე-ხვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (ზესტაფონის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ყურძნის საშუალო მოსავალი 68,06 ცენტნერი ჰექტარზე და მიაღწია ახალგაზრდა ვაზის გახარებას 94.5 პროცენტით.

28. სოფ. ქვედა საზანოს 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობა (ზესტაფონის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ყურძნის საშუალო მოსავალი 70,68 ცენტნერი ჰექტარზე და მიაღწია ახალგაზრდა ვაზის გახარებას 99,55 პროცენტით.

29. სოფ. ღვანკითის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (ჩხარის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ყურძნის საშუალო მოსავალი 49,14 ცენტნერი ჰექტარზე და მიაღწია ახალგაზრდა ვაზის გახარებას 94,75 პროცენტით, ვაზის სანერგეში სტანდარტული ნერგის გამოყვანას 65,25 პროც.

30. სოფ. მარნეულის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობა (ბორჩალოს რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ყურძნის საშუალო მოსავალი 75,9 ცენტნერი ჰექტარზე.

31. სოფ. კარდანახის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნა“ (გურჯაანის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ყურძნის საშუალო მოსავალი 69,2 ცენტნერი ჰექტარზე.

32. სოფ. ახალსოფლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (ყვარლის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიაღწია ვაზის გახარებას საშუალოდ 98,5 პროც.

33. სოფ. ყარადერეს კოლმეურნეობა (აჭარის ასსრ, ბათუმის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო ტუნგოს ნაყოფის საშუალო მოსავალი 3.450 კილოგრამი ჰექტარზე.

34. სოფ. ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადი“ (გორის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: თესლოვანი ნაყოფი—77,5 ცენტნერი, ახალგაზრდა მსხმოიარე ბაღში—10 ცენტნერი; მიაღწია ახალგაზრდა არამსხმოიარე ბაღში ხეების 96 პროცენტით გახარებას.

35. სოფ. ბერბუკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (გორის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: თესლოვანი ნაყოფი—94,37 ცენტნერი, კომბოსტო—378 ცენტნერი.

36. სოფ. ავჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თბილისის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო თესლოვანი ნაყოფის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 61 ცენტნერი.

37. ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (თბილისის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო პომიდორის საშუალო მოსავალი—241,9 ცენტნერი ჰექტარზე და მიაღწია ახალგაზრდა არამსხმოიარე ბაღში ხეების 100 პროცენტით გახარებას.

38. ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (ახალციხის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო თესლოვანი ნაყოფის საშუალო მოსავალი 106,4 ცენტნერი ჰექტარზე.

39. სოფ. კორნისის კოლმეურნეობა „ნოგ-ცარდ“ (სამხრეთ-ოსეთის ავ. ოლ., ზნაურის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიაღწია ახალგაზრდა არამსხმოიარე ბაღში ხეების 95,6 პროცენტით გახარებას.

40. სოფ. ცუცხვათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (ტყიბულის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო ახალგაზრდა მსხმოიარე ბაღში თესლოვანი ნაყოფის საშუალო მოსავალი 9,4 ცენტნერი ჰექტარზე.

41. სოფ. ქანდრების კოლმეურნეობა „წითელი სხივი“ (ქარელის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავალი 207,67 ცენტნერი ჰექტარზე.

42. სოფ. ულიანოვკის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“ (ლაგოდეხის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავალი 16,82 ცენტნერი ჰექტარზე.

43. სოფ. ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (ახალციხის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: მარცვლეული კულტურები—12,7 ცენტნერი, კარტოფილი—149,1 ცენტნ., სიმინდი—16,59 ცენტნ., კომბოსტო—302 ცენტნერი და მიაღწია ახალგაზრდა არამსხმოიარე ბაღში ხეების 98 პროცენტით გახარებას.

44. სოფ. კარზახის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა (ახალქალაქის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავალი 11,29 ცენტნერი ჰექტარზე.

45. სოფ. ნაოხრების მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობა (ახალციხის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: მარცვლეული კულტურები — 19,05 ცენტნერი, კარტოფილი—115,5 ცენტნ.

46. სოფ. ჯულგას დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა (ახალციხის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: მარცვლეული კულტურები—19,1 ცენტნ., კარტოფილი—162 ცენტნ.

47. სოფ. როდიონოვკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (ბოგდანოვკის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავალი—14,64 ცენტნერი ჰექტარზე.

48. სოფ. საროს კოლმეურნეობა „წითელი სარო“ (ასპინძის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავალი 16.05 ცენტნერი ჰექტარზე.

49. სოფ. ტაბაწყურის საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობის სახელობის კოლმეურნეობა (ბორჯომის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავალი 15,7 ცენტნერი ჰექტარზე.

50. სოფ. ქვემო-ქედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (წითელწყაროს რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავალი 11,88 ცენტნერი ჰექტარზე.

51. სოფ. ქვემო-ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა (სიღნაღის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავალი 14,47 ცენტნერი ჰექტარზე.

52. სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლა“ (ქუთაისის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: სიმინდი—16,48 ცენტნერი, ყურძენი—43,78 და მიაღწია ახალგაზრდა ვაზის 95,2 პროცენტით გახარებას.

53. სოფ. ზედა-ცაგერის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობა (ცაგერის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო სიმინდის საშუალო მოსავალი 20,34 ცენტნერი ჰექტარზე.

54. ქალაქისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (ლანჩხუთის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო სიმინდის საშუალო მოსავალი 15,52 ცენტნ. ჰექტარზე.

55. სოფ. ბარდუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (ქუთაისის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე: არახისი—18,9 ცენტნერი, სოია—14,5 ცენტნერი.

56. სოფ. მწარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს საშუალო მოსავალი 12,3 ცენტნერი ჰექტარზე.

57. სოფ. ნიდორფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (აფხაზეთის ასსრ, სოხუმის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს საშუალო მოსავალი 11,86 ცენტნერი ჰექტარზე.

58. სოფ. ხუმუშკურის კოლმეურნეობა „წითელი ხუმუშკური“ (აფხაზეთის ასსრ, სოხუმის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს საშუალო მოსავალი 15,03 ცენტნერი ჰექტარზე.

59. სოფ. ათარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა (აფხაზეთის ასსრ, ოჩამჩირის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს საშუალო მოსავალი 9,12 ცენტნერი ჰექტარზე.

60. სოფ. დაშტაფის კოლმეურნეობა „17 ოქტომბერი“ (ბორჩალოს რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო „ტრაპეზუნდის“ ჯიშის თამბაქოს საშუალო მოსავალი 16,79 ცენტნერი ჰექტარზე.

61. სოფ. პირველი მაისის კოლმეურნეობა „წითელარმიელი“ (აბაშის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო რამის საშუალო მოსავალი 191 ცენტნერი ჰექტარზე.

62. სოფ. მეორე ნოსირის სტურუას სახელობის კოლმეურნეობა (ცხაკაიას რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო რამის საშუალო მოსავალი 213,25 ცენტნერი ჰექტარზე.

63. სოფ. ნაჩხეტაურის კოლმეურნეობა „შრომა“ (სამტრედიის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო პომიდორის საშუალო მოსავალი 276 ცენტნერი ჰექტარზე.

64. სოფ. ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (ხობის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო დაფნის საშუალო მოსავალი 1.600 კილოგრამი ჰექტარზე.

65. სოფ. ნაჯახაოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (გეგეჭკორის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი 3.003 კილოგრამი ჰექტარზე, სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით.

66. ორჯონიკიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობის სარძეო ფერმა (თბილისის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო წველადობა 3.204 ლიტრი წითელი გერმანული ჯიშის საფურაჟე ძროხაზე.

67. ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა (ცხაკაიას რაიონი) — 1937-1938 წ. წ. შეინარჩუნა საშუალოდ 16,57 გოჭი დედა-ღორზე.

68. სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა „შრომის“ მეკამეჩეობის სარძეო-სასაქონლო ფერმა (წითელწყაროს რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო წველადობა 820,15 ლიტრი საფურაჟე ფურკამეჩზე და გაზარდა საშუალოდ 96,8 ზაკი 100 ფურკამეჩზე.

69. სოფ. წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის სასაქონლო ფერმა (სიღნაღის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალოდ 98,1 ბატკანი თუშური ჯიშის 100 დედა-ცხვარზე.

70. სოფ. ბეტკლიას სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის სასაქონლო ფერმა (ყარაიის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალოდ 96,8 ბატკანი თუშური ჯიშის 100 დედა-ცხვარზე.

71. სოფ. ჩოხის კოლმეურნეობა „შრომის დროშის“ მეცხვარეობის სასაქონლო ფერმა (დუშეთის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალოდ 97,6 ბატკანი თუშური ჯიშის 100 დედა-ცხვარზე.

72. სოფ. ხულდას კოლმეურნეობა „წითელი ძალების“ მეცხვარეობის სასაქონლო ფერმა (ახალქალაქის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალოდ 3.01 კილოგრამი მატყლი პრეკოსის ჯიშის მოზრდილ ცხვარზე.

73. სოფ. უკანაუბნის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის სასაქონლო ფერმა (სამხრეთ-ოსეთის ავ. ოლ. ლენინგორის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალოდ 92,2 ბატკანი თუშური ჯიშის 100 დედა-ცხვარზე.

74. სოფ. ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეკამეჩეობის სარძეო-სასაქონლო ფერმა (ცხაკაიას რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო წველადობა 860,5 ლიტრი საფურაჟე ფურკამეჩზე.

75. სოფ. მუჟას მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეთხეობის სასაქონლო ფერმა (წალენჯიხის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო წველადობა 266 ლიტრი ერთ სულ თხაზე.

76. სოფ. ზემო ლინდავის კოლმეურნეობა „იდაზის“ სარძეო სასაქონლო ფერმა (აფხაზეთის ასსრ, სოხუმის რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალო წველადობა 2.165 ლიტრი წითელი გერმანული ჯიშის მეტისების საფურაჟე ძროხაზე.

77. სოფ. ზემო-მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კავკასიური ნაგაზის საჯიშე ბუდე (წითელწყაროს რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო კავკასიური ჯიშის ნაგაზის საშუალოდ 6,87 ლეკვი თითო დედა-ძაღლზე.

78. სოფ. ზემო-ქედის კოლმეურნეობა „კომუნის გზით“-ის საფუტკრე (წითელწყაროს რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალოდ 55,15 კილოგრამი თაფლი და 0,872 კილოგრამი ცვილი გამოზამთრებულ ფუტკრის ოჯახზე.

79. სოფ. მუხურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის საფუტკრე (ჩხოროწყუს რაიონი)—1937-1938 წ. წ. მიიღო საშუალოდ 41,9 კილოგრამი თაფლი და 0,84 კილოგრამი ცვილი გამოზამთრებულ ფუტკრის ოჯახზე.

80. სოფ. სანიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მეღორეობის სასაქონლო ფერმა (თელავის რაიონი) — 1937-1938 წ. წ. შეინარჩუნა საშუალოდ 15,8 გოჭი დედა-ღორზე.

81. ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქალ. მახარაძე).

82. მახარაძის რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა“.

კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები



ამხ. თ. ი. ქათამაძე

ამხ. თინა ილიას-ასული ქათამაძე დაიბადა 1915 წელს ქ. ქუთაისში რკინიგზის მუშის ოჯახში. 1925 წელს მას მამა გარდაეცვალა და ობლად დარჩა. მიუხედავად ამისა, ენერგიული და მუყაითი მუშაობის შედეგად იგი ქუთაისის დაწყებით სასწავლებელს ამთავრებს, და შედის თბილისის სამრეწველო - ეკონომიურ ტექნიკუმში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ თინა კვლავ ქუთაისშია,—მუშაობს ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში. აქ მან უდიდესი ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა. თინას მიღწეული არ აკმაყოფილებს. იგი მოწყურებულია მიიღოს უმაღლესი ტექნიკური განათლება. და აი 1933 წლიდან შედის ამიერ-კავკასიის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში მექანიკურ ფაკულტეტზე. 1938 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი. ამხ. თინას გზავნიან თბილისის საორთქლმავლო დეპოში სამუშაოდ მემანქანის თანაშემწედ. აქედან იწყება მისი სახელოვანი გზა. წარმატებით ჩააბარა გამოცდები მემანქანის თანამდებობაზე, პირველმა იკისრა ორთქლმავლის დამოუკიდებლად მართვა და საპატიო სახელიც მოიხვეჭა.

1931 წლიდან საქ. ალკკ ორგანიზაციის წევრია, ხოლო როგორც საუკეთესო კრივონოსელი მემანქანე, 1938 წელს მიღებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად. არჩეულია აგრეთვე თბილისის საორთქლმავლო დეპოს ალკკ კომიტეტის წევრად და სხვ.

თინა ილიას-ასული ქათამაძე, როგორც ლენინ-სტალინის პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგული,—თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის მიერ წამოყენებულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და რეგისტრირებულია კენჭისსაყრელად № 18. საარჩევნო ოლქში.

ამხ. გ. პ. კიკაჩეიშვილი

ამხ. გრიგოლ პეტრეს-ძე კიკაჩეიშვილი დაიბადა 1899 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ ჯიხაიშში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1919 წელს წარმატებით დაამთავრა სოფელ დიდი ჯიხაიშის 7-წლედი, ხოლო 1923 წელს ქუთაისის საშუალო სასწავლებელი. ამავე წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1924 წელს ის გაგზავნილ იქნა სიღნაღში პარტიული სკოლის დირექტორად. 1925-27 წლებში ამხ. კიკაჩეიშვილი მუშაობდა საქ. კ. პ. (ბ) თელავის სამაზრო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ. 1927-29 წლებში მუშაობს თელავის 10-წლედის დირექტორად, 1929-30 წლებში — საკოლო განყოფილების ინსტრუქტორად მცხეთაში. 1930-32 წლებში სწავლობდა მოსკოვის კომუნისტურ აკადემიაში. აკადემიის დამთავრების შემდეგ ის მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე.

1937-39 წლებში მუშაობს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტის გამგედ, რაიკომის მესამე მდივნად და შემდეგ რაიკომის მეორე მდივნად.

ამჟამად ამხ. გ. პ. კიკაჩეიშვილი მუშაობს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ.

ამხ. გ. პ. კიკაჩეიშვილის კანდიდატურა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ერთსულოვნად წამოაყენა თბილისის კინოსტუდიის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებამ. ამხ. კიკაჩეიშვილის კანდიდატურა რეგისტრირებულია № 137 საარჩევნო ოლქში.



ამხ. დ. ე. არაყიშვილი

დიმიტრი ევგენის-ძე არაყიშვილი დაიბადა 1873 წელს ქ. კავკავში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი სწავლობდა პირველდაწყებითს, ხოლო შემდეგ სამკლასიან სასწავლებელში.

მას ადრევე დაეტყო მუსიკისადმი მიდრეკილება და გადასწყვიტა შესულიყო მოსკოვის ფილარმონიაში. იგი 1911 წელს წარმატებით ამთავრებს ფილარმონიის საკომპოზიციო და დირიჟორულ კლასს და იმავე წელს სამეცნიერო მივლინებაში იგზავნება საქართველოში.

სწავლის გაღრმავების მიზნით 1916 წელს შედის მოსკოვის არქეოლოგიურ ინსტიტუტში. ერთი წლის შემდეგ იცავს დისერტაციას და იღებს სწავლული არქეოლოგის სახელწოდებას.

1914 წელს მან დასწერა თავისი პირველი ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომელიც თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე 1919 წლის 5 თებერვალს დაიდგა.

არაყიშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი მუსიკალური ნაწარმოები, რეცენზიები, სტატიები, შენიშვნები და მიმოხილვები მუსიკის შესახებ. იგი რედაქტორობდა სამუსიკო ჟურნალებს და სხვ.

1929 წელს საქ. ცაკმა მას მიანიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის სახელწოდება, ხოლო 1937 წელს, ქართული სამუსიკო ხელოვნების განვითარებაში დიდი ღვაწლისათვის, მთავრობამ იგი „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვა.

დ. ე. არაყიშვილი ამჟამად თბილისის კონსერვატორიის პროფესორია და ფართო სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. დ. არაყიშვილის კანდიდატურა რეგისტრირებულია ქალაქის საბჭოს არჩევნების № 421 საარჩევნო ოლქში.

ამხ. შ. ი. ამირანაშვილი

შალვა იასონის-ძე ამირანაშვილი დაიბადა 1899 წელს ონში, სახალხო მასწავლებლის ოჯახში. 1917 წელს დაამთავრა ქ. ფოთის კლასიკური გიმნაზია და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების, ისტორიისა და თეორიის განყოფილებაზე. 1921 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იგი დატოვებულ იქნა ასპირანტად.

1925 წელს ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები ქართულ და აღმოსავლურ ხელოვნებათმცოდნეობაში. ამავე წელს არჩეული იქნა ხელოვნების, ისტორიისა და თეორიის კათედრის ასისტენტად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქ. სამხატვრო აკადემიაში.

1929 წელს მან ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა სადისერტაციო შრომა ურბნისის წარწერების შესახებ. ამავე წელს იგი დაინიშნა ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქ. სამხატვრო აკადემიაში. 1933 წელს დაიცვა დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობაში და მიიღო დოქტორის ხარისხი.

1937 წელს ამხ. შ. ამირანაშვილი დაინიშნა საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს კულტურის ძეგლების დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1939 წლის აპრილში იგი დაინიშნა მუზეუმ „მეტეხის“ დირექტორად.

ამხ. შ. ამირანაშვილი საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატია.

ხელოვნების მუზეუმ „მეტეხის“ მეცნიერ მუშაკებმა და მუშა-მოსამსახურეებმა ამხ. შ. ი. ამირანაშვილი ერთსულოვნად დაასახელეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 238 საარჩევნო ოლქში.

ამხ. მ. ე. თარხნიშვილი

მარიამ ესტატეს-ასული თარხნიშვილი დაიბადა 1891 წელს გორის რაიონის სოფელ კავთისხევში. ბავშვობიდანვე უყვარდა სიმღერა. 14 წლისა იყო, როცა წითელ-ქალაქში მან შეადგინა ახალგაზრდა მომღერალთა გუნდი. 1917 წელს გადმოსახლდა ქ. თბილისში და აქაც ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი, რომელიც 7-8 კაცისაგან შესდგებოდა.

წყეულ წარსულში მარიამ თარხნიშვილისთვის დამხმარე ხელი არავის გაუწვდია. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა ფართო სარბიელი მის მოღვაწეობას.

1937 წელს მ. თარხნიშვილს გადაუხადეს ხელოვნების დარგში 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე. საქართველოს სსრ ცაკმა მას მიანიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს საქესტრადასთან არსებულ სახელმწიფო ქართლ-კახურ მომღერალთა გუნდს. საქესტრადის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა მარიამ ესტატეს-ასული თარხნიშვილი წამოაყენა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მისი კანდიდატურა რეგისტრირებულია № 88 საარჩევნო ოლქში.



ამხ. გ. დ. კუპრაძე

ამხ. გაბრიელ დიმიტრის-ძე კუპრაძე დაიბადა 1906 წელს ცხაკაიას რაიონის (სენაკი) სოფელ ჯუმითში, რკინიგზელის ოჯახში. მამამისი დიმიტრი მაშინ მუშაობდა რკინიგზის ოსტატად. პირველდაწყებითი განათლება მან მიიღო ცხაკაიას რაიონში თავისსავე სოფელში, საშუალო განათლება კი ქ. ქუთაისში. უმაღლესი განათლების მისაღებად შევიდა საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის ელექტრომექანიკურ ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ამხ. გ. დ. კუპრაძე მუშაობს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ ახალშენებათა კომიტეტში. 1931-33 წლებში მუშაობს საქართველოს მიწსახკომში სოფლის ელექტროფიკაციის ხაზით. 1933-37 წლებში მუშაობს „ზაკენერგოს“ სისტემაში მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

1937 წლიდან მუშაობს თბილისის ელექტროქსელის სამმართველოსა და ტრესტის მთავარ ინჟინრად.

ამხ. გაბრიელ დიმიტრის-ძე კუპრაძის კანდიდატურა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე რეგისტრირებულია № 367 საარჩევნო ოლქში.

ამხ. პ. მ. კანდელაკი

პავლე მამანტის-ძე კანდელაკი დაიბადა 1900 წელს დაბა აბაშაში. 1920 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. 1922 წელს თავი დაანება უნივერსიტეტს და შევიდა საქართველოს სსრ განსახკომის დრამატიულ სტუდიაში, რომელიც დაამთავრა 1924 წელს. ამ დროიდან 1932 წლამდე მუშაობდა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მსახიობად.

1930 წლიდან 1937 წლამდე სხვადასხვა დროს ამხ. კანდელაკი მუშაობდა რუსთაველის თეატრში ადმინისტრატიულ თანამდებობებზე — ადმინისტრატორად, ინსპექტორად და თეატრის დირექტორის მოადგილედ. 1937 წლიდან 1938 წლამდე მუშაობდა ყოფილი საქფილექტის დირექტორად, რის შემდეგაც დანიშნულ იქნა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ამხ. პ. მ. კანდელაკი წამოაყენა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. იგი რეგისტრირებულია № 386 საარჩევნო ოლქში.

ამხ. მ. ვ. შიხმანი

თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 385 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს მინა ვლადიმერის-ასულ შიხმანის კანდიდატურა.

ამხ. მ. ვ. შიხმანი დაიბადა 1910 წელს ქერჩში, მუშის ოჯახში, ერთი წლის შემდეგ ვ. შიხმანის ოჯახი თბილისში გადმოვიდა. პირველდაწყებითი სწავლის მიღების შემდეგ მინა ვლადიმერის-ასული შედის ქიმიურ ტექნიკუმში. 1923 წელს იგი გადადის პოლიგრაფტრესტის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში და მისი დამთავრების შემდეგ მუშაობს პოლიგრაფტრესტის საამკინძაო საამქროში.

1931 წელს იგი გაგზავნეს კოოპერატიულ კურსებზე და 2 წლის განმავლობაში კოოპერაციის ქსელში მუშაობდა. 1933 წლიდან მუშაობს „რეზინოსბიტის“ საქართველოს კანტორაში ჯერ კანცელარიის მუშაკად, შემდეგ კი მმართველად.

ამხ. მ. ვ. შიხმანის თავდადებული მუშაობის შედეგად „რეზინოსბიტის“ საქართველოს კანტორა მოწინავე საწარმოდ გადაიქცა და საკავშირო გარდამავალი დროშა მიიღო.

ამხ. მ. ვ. შიხმანი არის საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1928 წლიდან და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი.

მ. ვ. შიხმანი თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენა „რეზინოსბიტის“ საქ. კანტორის მუშაკთა კოლექტივმა.

თბილისის ფარმაკო-ქიმიურმა ქარხანამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

თბილისის ფარმაკო-ქიმიური ქარხნის (დირექტორი ა. მარტინოვი) კოლექტივმა, რომელიც ეჯიბრება უკრაინის სს რესპუბლიკის მედიკურ-სანიტარული მრეწველობის საწარმოებს, დიდი გამარჯვება მოიპოვა—ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა. 26 ნოემბრისათვის ქარხანამ გამოუშვა 2.642.300 მანეთის პროდუქცია (1926-27 წ. უცვლელი ფასით), რაც წლიური გეგმის 100,5 პროცენტს შეადგენს.

საუცხოო შედეგებს მიაღწიეს ქარხნის მოწინავე ადამიანებმა. მათ შორის გალენის პრეპარატების საამქროს უფროსი მარიამ ბაქრაძე და სტახანოველი ლიდა ბადურიშვილი დასახელებული არიან სტალინის რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად, ხოლო სტახანოველი ეკატერინე მდინარაძე და ლაბორანტი ნინო ტურაბელიძე—თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად. (საქინფორმი).

მოკავშირეთა ზარალი ომში

ლონდონი, 26 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის საზღვაო სამინისტროს მიერ აქამდე გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით, ინგლისის ზარალი ზღვაში ომის დაწყებიდან 1.526 კაცს შეადგენს. აქედან სავაჭრო გემების ჩაძირვის შემდეგ დაიღუპა 250 კაცი.

ავიაციის ზარალს 370 კაცის რაოდენობით ანგარიშობენ. ამ რიცხვის მესამედზე ნაკლები დაღუპულია, როგორც ჩანს, მტრის მოქმედების გამო.

საფრანგეთში მოქმედ საექსპედიციო არმიაში მხოლოდ ერთი კაცია მოკლული.

ცნობები საფრანგეთის ზარალის შესახებ გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ სააგენტოს სიტყვით, გაცილებით უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე ინგლისის ზარალი.

ომი ზღვაში

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ლონდონიდან გადმოგვცემს, რომ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ინგლისის გემებმა ხელთიგდეს გერმანიის წყალქვეშა ნავი, რომელიც ცდილობდა შესულიყო ფერტ-ოფ-კლაიდის ყურეში (ირლანდიის დასავლეთი ნაწილი).

○

ლონდონი, 26 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 23 ნოემბერს კენტის საგრაფოს სანაპიროსთან ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა ერთი გემი, რომლის სახელწოდება ჯერ გამორკვეული არ არის. დაიღუპა 3 კაცი. ამავე დროს სააგენტო აღნიშნავს, რომ ინგლისის 11.066 ტონა წყალწყვის გემი-რეფრიჟერატორი „სასექსი“ ლამანშის სრუტეში ნაღმს წააწყდა და სერიოზულად დაზიანდა.

○

ლონდონი, 26 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის გემი „ადოლფ ვერმანი“, რომელიც 18 ნოემბერს ლობიტუს ბუხტიდან (დასავლეთი აფრიკა) გაემგზავრა, ამავე გემის მეზღვაურების მიერ ჩაძირულ იქნა ატლანტის ოკეანეში, რათა გემი ხელთ არ ჩაეგდოთ მოკავშირეებს. გემზე მყოფი 35 მგზავრი და 127 კაცისაგან შემდგარი ეკიპაჟი ყველა გადარჩა.

○

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო სტოკჰოლმიდან იუწყება, ომის დაწყებიდან გერმანიამ შეიპყრო და თავის ნავსადგურებში მიიყვანა შვეციის 38 გემი 65 ათასი ტონა საერთო წყალწყვით. ამათგან 13 გემი მიემართებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ხე-ტყის ტვირთით. ზოგიერთი გემი უკვე თვეზე მეტია, რაც გერმანიის ნავსადგურებში იმყოფება.

ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ამერიკის გემების შეპყრობა

ვაშინგტონი, 26 ნოემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (საგარეო საქმეთა სამინისტრო) იუწყება, ამერიკის გემების შეპყრობის კიდევ 14 შემთხვევის შესახებ მეომარი ქვეყნების მიერ. აქედან ინგლისმა შეიპყრო 13 გემი და საფრანგეთმა 1. ორ შემთხვევაში ინგლისელებმა ჩამოართვეს ამერიკის ფოსტა, ზოგიერთ შემთხვევაში ჩამოართვეს ტვირთი. მთელი რიგი გემების განთავისუფლების შესახებ ჯერ არ არის ცნობები. 5 ნოემბერს ინგლისმა შეიპყრო საბარგო გემი „ბლეკ კონდორი“ (5.358 ტონა), საიდანაც წაიღეს 162 ტომარა ფოსტის გზავნილი და აგრეთვე ტვირთის ნაწილი. 11 ნოემბერს გიბრალტარში შეიპყრეს გემი „ნიშიმა“, საიდანაც წაღებულია დიდი რაოდენობის ტვირთი. 17 ნოემბერს გიბრალტარში შეიპყრეს გემი „ექსამინერი“ ამ გემიდან წაღებულია 11 ტომარა ფოსტის გზავნილი. ამ გემის განთავისუფლების შესახებ აქამდე ცნობა არ მოსულა. საფრანგეთმა 8 ნოემბერს შეიპყრო გემი „ექსეტერი“ და წაიღო 1.400 ტომარა ბამბის თესლი, რაც შვეიცარიისათვის იყო განკუთვნილი.

გერმანიის შრომის მინისტრის განკარგულება შვებულების შესახებ

ბერლინი, 26 ნოემბერი (საკდესი). თანახმად მთავრობის განკარგულებისა, ომის დაწყებიდან გერმანიის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში აკრძალული იყო მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შვებულების მიცემა. მაგრამ ამავე დროს შრომის მინისტრს უფლება ჰქონდა პირველ შეძლებისთანავე გაეუქმებინა ეს გადაწყვეტილება. გაზეთების ცნობით, 23 ნოემბერს შრომის მინისტრმა გამოსცა განკარგულება, რათა 1940 წლის 15 იანვრიდან მუშებსა და მოსამსახურეებს მიეცეთ შვებულება.

საომარი მოქმედება ჩინეთში

სამხრეთ ჩინეთში

ჩინეთის ჯარი კვლავ მედგარ წინააღმდეგობას უწევს იაპონელებს ნანინის მისავალთან (გუანსის პროვინცია). იმისათვის, რომ შეესუსტებინათ იაპონელთა შეტევა გუანსის პროვინციაში, ჩინეთის ჯარმა კონტრშეტევა დაიწყო კანტონზე. ამასთან დაკავშირებით, იაპონიის სარდლობა იძულებული გახდა რამდენიმე პოლკი სასწრაფოდ გადაეყვანა უკანვე კანტონში.

კანტონის დასავლეთით და ჩრდილოეთით ჩინეთის ჯარს იერიში მიაქვს იაპონელებზე. კანტონის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩინეთის ჯარის ცალკეული ნაწილები ავიწროვებენ იაპონელებს შენჩუნის რაიონში. ამ სექტორში ჩინელებმა იაპონელები გარეკეს რამდენიმე პუნქტიდან. გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს იმ რაიონში, რომელიც კანტონ-სამშუის რკინიგზის ჩრდილოეთით მდებარეობს. იაპონელთა ჯარის კოლონა, რომელიც შეტევას აწარმოებდა სამშუი-ლუბაოს გზატკეცილზე (55 კილომეტრის მანძილზე კანტონის ჩრდილო-დასავლეთით), შეჩერებულია მდინარე ბეიძიანის შენაკადის სამხრეთ ნაპირზე. იაპონელთა მეორე კოლონა, რომელიც ცდილობდა შემოევლო ჩინეთის ნაწილებისათვის ლუბაოსთან, დამარცხდა 20 კილომეტრ მანძილზე ამ პუნქტის ჩრდილოეთით.

ს. მ. კიროვის ხსოვნას

მოსკოვის ქარხანა „კალიბრში“ გაცხოველებული მზადება სწარმოებს კიროვის დღეებისათვის. სამქროებსა და საარჩევნო უბნების მოსახლეობაში მოეწყობა მოხსენებანი და საუბრები რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის სერგეი მირონის-ძე კიროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ქარხნის პარტკაბინეტი აგიტატორებისათვის ატარებს კონსულტაციებს. 1 დეკემბრისათვის ქარხანაში გამოვა სამგლოვიარო წლისთავისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთები. ეწყობა ს. მ. კიროვზე დაწერილი წიგნების გამოფენა.

პარტორგანიზაცია აწყობს კალიბრელთა ექსკურსიას წითელი არმიის ცენტრალურ მუზეუმში, სადაც ისინი გაეცნობიან მასალებს, რომლებიც ბრწყინვალედ ახასიათებენ ამხ. ს. მ. კიროვს, როგორც წითელი არმიის ერთერთ უნიჭიერეს ორგანიზატორს.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის 660 აგიტატორი საარჩევნო უბნებში და დაახლოებით 300 აგიტატორი უნივერსიტეტში ჩაატარებენ საუბრებსა და მოხსენებებს ს. მ. კიროვის შესახებ.

მოსკოვის გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ამზადებს სპეციალურ ფოტოგამოფენას.

1 დეკემბერს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შესდგება ს. მ. კიროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

ლენინგრადი, 26 ნოემბერი (საკდესი). ხალხის მტრების მიერ ს. მ. კიროვის ვერაგულად მოკვლის ხუთი წლისთავზე საბჭოთა კავშირის ქალაქებში დაიდგმება რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის რამდენიმე ახალი ძეგლი.

მთავრდება ს. მ. კიროვის ხუთმეტრიანი ქანდაკების ჩამოსხმა ძეგლისათვის, რომელიც 1 დეკემბერს დაიდგმება კიროვის ქარხნის ტერიტორიაზე. ლენინგრადიდან ს. მ. კიროვის ქანდაკებანი გაიგზავნა ასტრახანსა და ვორონეჟს.

ბაქოს ნაგორნის პარკში მიმდინარეობს ს. მ. კიროვის ძეგლის მონტაჟის უკანასკნელი სამუშაო. ამ ძეგლის ქანდაკებაც ლენინგრადშია ჩამოსხმული.

○

ტროცკისტ-ზინოვიეველთა ტერორისტული ბანდის მიერ ს. მ. კიროვის ავაზაკურად მოკვლის მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით თბილისის საწარმოებში, საარჩევნო უბნებში და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების შემსწავლელ წრეებში ეწყობა საუბრები და მასალების კითხვა რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

თბილისის დაზგათმშენებელ ქარხანაში, რომელიც სერგეი მირონისძის სახელს ატარებს, საუბრებსა და კითხვას ატარებს 18 აგიტატორი. სატრიკოტაჟო კომბინატის მშენებლობაზე გამოყოფილია 30 აგიტატორი, რომელთაგან 18 კაცი საუბარს ჩაატარებს მუშებს შორის, ხოლო დანარჩენები—მოსახლეობას შორის.

30 ნოემბერს მეოთხე საარჩევნო უბნის (ლენინის რაიონი) საარჩევნო კომისია პლეხანოვის სახელობის კლუბში მოაწყობს ამომრჩეველთა კრებას, რომელიც მიეძღვნება ს. მ. კიროვის ხსოვნას.

(საქდესი).

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის ყრილობა

მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის მეორე სრულიად-საკავშირო ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 200-მდე დელეგატი, რომლებიც ბოლშევიკური პრესის მუშაკთა თითქმის ასათასიან არმიას წარმოადგენენ.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო. ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს ამხანაგი **სტალინი.**

კავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ოვსიანნიკოვა. მან ბევრი საინტერესო ცნობები მოიყვანა საბჭოთა პრესის ზრდის შესახებ. 1913 წელს მეფის რუსეთში გამოდიოდა 859 გაზეთი, რომელთა ტირაჟი 2.729 ათას ცალს უდრიდა. 1939 წლის დამდეგისათვის საბჭოთა კავშირში გამოდიოდა 8.550 გაზეთი 37 მილიონ ცალზე მეტი ტირაჟით. შარშან ჩვენს ქვეყანაში გამოშვებული იყო 692 მილიონი ცალი წიგნი — 8-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.

ყრილობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის—ამხანაგ **სტალინის** და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს — ამხანაგ **მოლოტოვის** სახელზე. (საკდესი).

მზადება 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

დაიწყო განცხადებების მიღება სოფლის მეურნეობის მოწინავეებისაგან

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად. არასრული ცნობებით, ქვეყნის 70 ოლქში ერთმანეთს ეჯიბრება რაიონების 76 პროცენტი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების 70 პროცენტი, კოლმეურნეობათა 55 პროცენტი და საბჭოთა მეურნეობების 40 პროცენტი. ამ ოლქების იმ მოწინავეთა რიცხვმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად, 1.300 ათას კაცს გადააჭარბა. მათგან უკვე მიღებულია ადგილებზე ათასობით პირველი განცხადებანი.

გამოფენის მთავარმა კომიტეტმა დაასახა ღონისძიებანი 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მოსამზადებლად. გამოფენის მონაწილეთა რიცხვი 1939 წელთან შედარებით საგრძნობლად გადიდდება. გამოფენის მთავარმა კომიტეტმა რჩევა მისცა რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს ახლავე შეუდგნენ განცხადებათა განხილვას და სოფლის მეურნეობის იმ მოწინავეთა მასალების გაფორმებას, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ 1940 წლის გამოფენაში. 1 მარტამდე სავსებით უნდა დამთავრდეს განცხადებათა განხილვა და გამოფენის მონაწილეობის ყველა კანდიდატის მასალების გაფორმება. (საკდესი).

ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსი

პირველი ტურის შედეგები

25-26 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო ესტრადის თეატრში ჩატარდა ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის პირველი ტური. ორი საღამოს განმავლობაში ჩვენ ვნახეთ საქართველოს საუკეთესო საესტრადო მსახიობები, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში ემზადებოდნენ კონკურსისათვის. დაიწერა ახალი ტექსტი, მუსიკა, ნომრების გაფორმებაზე მუშაობდნენ რეჟისორები და კონცერტმეისტერები. ამ მუშაობამ უთუოდ გამოიღო ნაყოფი. ესტრადამ, რომელიც საერთოდ და განსაკუთრებით ჩვენში შედარებით ჩამორჩენილი ჟანრია, წინ წაიწია, ახალი ძალები შეიძინა და, რაც მთავარია, ესტრადის მსახიობებმა იგრძნეს, რომ მათი ჟანრი ყურადღების ცენტრშია. ეს კი ზრდის მათს პასუხისმგებლობის გრძნობას.

როგორ იყო წარმოდგენილი კონკურსზე ჩვენი ესტრადა? პროგრამას უთუოდ აკლდა მრავალფეროვანება.

კონკურსის ჟიურიმ პირველ ტურში წარმოდგენილი ნომრებიდან მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად შეარჩია შემდეგი ნომრები: სალარაძე-ჯაფარიძე, ფ. ჰანტურია, მოცეკვავე უშვერიძე, გუნია-დარახველიძე, ვასო გოძიაშვილი, მიხ. ყვარელაშვილი, ოლ. დოლიძე, სუხიშვილი-რამიშვილი, მანტკავა-ჩახავა და ვარდიაშვილის მეფანდურეთა ტრიო.

კონკურსის პირველ ტურში გამარჯვებულებმა უთუოდ გვიჩვენეს საინტერესო რეპერტუარი, შესრულების მაღალი ოსტატობა, ნამდვილი საესტრადო ხელოვნება, გარდა ვარდიაშვილის ტრიოსი, რომელიც, ჩვენის აზრით, საკონკურსო საღამოზე საკმაო ეფექტით ვერ გამოვიდა. შერჩეულმა მონაწილეებმა უნდა იმუშაონ თავიანთ ნომრებზე, რომ თავიდან მოიშორონ დეფექტები, რომლებიც მათ კიდევ აქვთ.

ჩვენ არ შევჩერდით იმ ნომრებზე, რომლებიც ჟიურიმ შეარჩია მოსკოვში გასაგზავნად. მაგრამ პირველი ტურის მონაწილეთა შორის ბევრი სხვა საინტერესო ნომერიც იყო. მეფანდურეთა შორის ყველაზე უკეთესი უთუოდ კაჭკაჭიშვილის ტრიო იყო, მაგრამ მათი ამჟამად თბილისიდან წასვლა არ შეიძლება, რადგან მოზარდ მაყურებელთა თეატრის დათვალიერება მიმდინარეობს. კაჭკაჭიშვილის ტრიოს შესრულება მშვენიერია, ხმები კარგად არის შერჩეული. საჭიროა მუშაობა რეპერტუარზე. საინტერესო იყო ჩხიკვაძისა და ძაგნიძის გამოსვლა. ისინი ახალი ძიების გზაზე არიან. ერთის მხრივ ემჩნევათ სალარაძე-ჯაფარიძის გავლენა, მეორე მხრივ — „ლორჯხალათიანებისა“. იმავე დროს აქვთ ახალიც—ნომრის გაკეთება ცეკვით, მიზანსცენებით. მაგალითად, „ყურშაში“ კარგად არის გამოყენებული ხორუმი. ჩხიკვაძე-ძაგნიძეს ესტრადაზე უთუოდ კარგი მომავალი აქვთ. საჭიროა საკუთარი „საესტრადო სახის“ გამოძებნა, ნომრების უფრო გააზრება, რეპერტუარის შერჩევა. კარგად არის მოფიქრებული „სადარაჯოზე“ და „ყურშა“, მიუღებელია „ყაფლანი და ყარამანი“. გარდა პორნოგრაფიული ელემენტებისა, ამ ნომერში მოცემულია დაბალი დონის, ტლანქი შედარებები. მომღერლებს ფედოროვას და მიაკიშევას უთუოდ ეტყობათ ზრდა, წინსვლა როგორც რეპერტუარის შერჩევაში, ისე შესრულებაში.

კონკურსმა გამოარკვია, რომ ჩვენი ზოგიერთი კომპოზიტორები და მწერლები ესტრადის შეუფასებლობას იჩენენ. ჩვენ გვყავს ესტრადის კარგი მსახიობები, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, რეპერტუარი რომ გვქონდეს. მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირებმა ესტრადის თეატრთან ერთად უნდა მიიღონ ზომები საესტრადო რეპერტუარის შესაქმნელად.

გრ. ნუცუბიძე.

ი. ვეკუა ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ამ დღეებში თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დოც. ილია ვეკუამ წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ელიფსურ განტოლებათა ამონახსნების კომპლექსური წარმოდგენა და მისი გამოყენება სასაზღვრო ამოცანებისათვის“.

ოფიციალურმა ოპონენტებმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა, პროფესორებმა ვ. კუპრაძემ და შ. მიქელაძემ კარგი შეფასება მისცეს ამხ. ი. ვეკუას დისერტაციას და აღნიშნეს, რომ ამხ. ი. ვეკუას სახით მათემატიკურ მეცნიერებას ერთი ერთი ნიჭიერი მეცნიერი მუშაკი შეემატა.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ თავის დახურულ სხდომაზე ფარული კენჭისყრით ი. ვეკუას ერთხმად მიანიჭა ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

სასამართლოს ქრონიკა

აბორტმახერის გასამართლება

29 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის მუშათა კლუბში დაიწყება აბორტმახერ მამალაშვილის საჯარო საჩვენებელი გასამართლება.

აბორტმახერმა მამალაშვილმა არაჰიგიენურ პირობებში აბორტი გაუკეთა ქ. გომელაურს, რომელიც აბორტის შედეგად მალე გარდაიცვალა.

აბორტმახერს ასამართლებს 26 კომისრის სახელობის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო ამხ. ნ. შენგელიას თავმჯდომარეობით. და 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურორის ამხ. ა. ცხადაძის მონაწილეობით.

სპეკულანტის გასამართლება

29 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ლუნაჩარსკის ქ. № 12-ში ბერიას სახელობის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო ამხ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით საჯარო-საჩვენებელი პროცესით გაარჩევს სპეკულანტ ი. ს. კარაპეტოვის საქმეს.

ბოსტნეულსაცავი

უკვე რამდენიმე ხანია ნავთლუღში აშენებენ ბოსტნეულსაცავის დიდ შენობას. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ამ მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი და მიიღო დადგენილება, რომ ბოსტნეულსაცავის მშენებლობა დამთავრებულ იქნას მიმდინარე წლის ბოლოსთვის.

ზამთარი დადგა

უკრაინაში ახლადმოსულმა მშრალმა თოვლმა მიწა 2-3 სანტიმეტრზე დაჰფარა, კავშირის ცენტრალურ ოლქებში კი—5 სანტიმეტრზე. ციმბირში თოვლის სისქე 10-25 სანტიმეტრს აღწევს, ხოლო ცალკეულ რაიონებში იგი ნახევარ მეტრს აღემატება. კრასნოიარსკში, მაგალითად, თოვლის სისქე 66 სანტიმეტრს უდრის.

ციმბირში ყინვები დაიჭირა. ირკუტსკში 26 ნოემბერს დღის 1 საათზე იყო 19 გრადუსი ყინვა, ბლაგოვეშჩენსკში — 12 გრადუსი, იაკუტსკში—34 გრადუსი. ამ დღეს ყველაზე დაბალი ტემპერატურა იყო ვერხოიანსკში—44 გრადუსი ყინვა. ამავე დროს კოლის ნახევარკუნძულზე იყო 2-დან 5 გრადუსამდე სიცივე და საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ოლქებში—4-დან 5 გრადუსამდე სიცივე.

თბილი ამინდია შუა აზიაში, ყირიმის სამხრეთ-სანაპიროზე და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე. ტერმეზში 26 ნოემბერს იყო 20 გრადუსი სითბო, სამარყანდში—19 გრადუსი, სოხუმში—15 გრადუსი და ყირიმის სამხრეთ-სანაპიროზე — დაახლოებით 8 გრადუსი სითბო.

ამინდის ცენტრალური ინსტიტუტის ცნობებით, უახლოეს დღეებში მოსალოდნელია ტემპერატურის თანდათანობით აწევა. (საკდესი).

საყურადღებო წვრილმანი

კომუნარების ბაღის კუთხეში საკოლმეურნეო ქუჩის მხარეზე არის სამსართულიანი შენობა, სადაც მოთავსებულია საბავშვო ბიბლიოთეკა (პუშკინის ბიბლიოთეკა). ბიბლიოთეკაში შესავალთან საქალაქო ტრანსპორტის გაძლიერებული მოძრაობაა. ერთი მხრიდან ტრამვაის ვაგონები დაჰქრიან, ხოლო მეორე მხრიდან ავტომობილები, რომლებიც აქ ყოველთვის ბლომად არიან, რადგან იქვე ბენზინის ჩამოსასხმელი სადგურია. ავტომობილები პირდაპირ ბიბლიოთეკაში შესავალ კიბესთან მიმოჰქრიან. მოძრაობა ამ კუთხეში სრულიად მოუწესრიგებელია და უბედური შემთხვევა აქ ყოველთვისაა მოსალოდნელი. ამიტომ, თუ ბიბლიოთეკის უკეთეს ადგილზე გადატანა შეუძლებელია, აუცილებელია, ბიბლიოთეკაში შესავალთან გაკეთდეს მოაჯირი, დაწესდეს აქვე მოძრაობის მომწესრიგებელი მილიციელის პოსტი.

დ. ლომთაძე

მეორე ხუთწლედის სესხი

(მეოთხე წლის გამოშვება)

მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) მოგებათა მე-13 ტირაჟი შესდგა 17-18 ნოემბერს ტამბოვში. გათამაშდა 1.210.100 მოგება 196.420.000 მანეთის რაოდენობით.

მოგება ხვდა სესხის წაუგებელი გამოშვების 200-ვე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს (მოგების თანხაში შედის ობლიგაციის ნომინალური ღირებულება).

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების რაოდენობა	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების რაოდენობა
00099	1—50	150	11276	44*)	500
00328	26*)	500	11429	1—50	150
00542	38*)	500	11446	28*)	500
00551	40*)	500	11936	18*)	500
01002	1—50	200	11992	1—50	150
01004	1—50	200	12022	1—50	200
01242	20*)	500	12050	28*)	500
01781	22*)	500	12159	46*)	1000
01903	06*)	500	12248	1—50	200
02750	1—50	150	12305	1—50	150
02810	1—50	150	12361	45*)	500
02881	1—50	150	12420	1—50	150
02920	34*)	500	12657	37*)	3000
02997	08*)	500	12716	1—50	150
03271	1—50	200	12721	24*)	1000
03338	1—50	150	12723	1—50	150
03538	49*)	500	13520	1—50	150
03574	44*)	500	13569	1—50	150
03722	37*)	500	13708	1—50	200
03820	46*)	500	13728	1—50	150
04254	1—50	150	13820	10*)	500
04409	1—50	200	13830	31*)	500
04453	44*)	500	14095	1—50	200
04796	04*)	500	15240	02*)	500
04850	1—50	150	15276	47*)	1000
04929	03*)	500	15639	28*)	500
04950	15*)	500	15717	25*)	1000
05091	1—50	150	15738	17*)	500
05585	45*)	500	15848	38*)	500
05669	1—50	200	15895	1—50	150
06039	1—50	150	15975	13*)	500
06183	1—50	200	16202	1—50	150
06381	1—50	200	16265	21*)	500
06411	1—50	150	16299	02*)	500
06436	1—50	200	16450	1—50	150
06534	1—50	150	16629	15*)	500
06714	1—50	150	16811	1—50	150
06958	1—50	150	17024	1—50	150
07284	1—50	150	17030	1—50	200
07394	06*)	500	17055	35*)	500
07408	08*)	500	17286	1—50	150
07421	1—50	150	17292	03*)	500
07427	04*)	500	17359	1—50	200
07534	1—50	150	17605	1—50	200
07772	27*)	500	17611	1—50	150
08004	1—50	150	17634	1—50	150
08431	1—50	150	17645	1—50	150
08613	01*)	500	17681	50*)	500
08658	1—50	200	17804	45*)	500
08884	35*)	500	17854	1—50	150
08917	49*)	500	17937	1—50	150
08961	1—50	150	17982	1—50	150
09071	34*)	1000	18716	1—50	200
09467	1—50	150	18980	07*)	500
09831	1—50	200	19062	1—50	150
10035	1—50	150	19221	25*)	500
10183	50*)	500	19587	1—50	150
10534	27*)	500	19634	34*)	500
10763	1—50	200	19644	1—50	150
11028	26*)	500	19805	08*)	500
			19875	1—50	150

---

* ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერს ხვდა მოგება 150 მანეთის რაოდენობით თვითეულს.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა**—მუდმ. ადგ., ტალ. № 54 და მე-5 აბ. მე-3 წარმოდგენა—„ქეთო და კოტე“; **რუსთაველის სახ. თეატრი**—მუდ. ადგ. ტალ. № 56—„ოტელო“; **მარჯანიშვილის სახ. თეატრი** — „კოლმეურნის ქორწინება“.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „უმაღლესი ჯილდო“; **ოქტომბერი** — „მხედრები“, **დამკვრელი** — „მატარებელი მიდის მოსკოვში“ და „მებადურისა და თევზის ზღაპარი“; **კომკავშირელი** — „საზღვარზე“; **სპარტაკი** — „მეკარე“; **რ. ლუქსემბურგის სახ.** — „ექიმი კალიუჟნი“; **26 კომისრის სახ.** — „შემთხვევა საზღვარზე“; **კომინტერნი** — „ლედკა“; **ახალი ამბები** — ჟურნალი № 102, „ამხანაგ მოლოტოვის მოხსენება“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

კულტპოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს მომარაგება-გასაღების განყოფილება. ბალანსი 1939 წ. 1-ლი იანვრისათვის

(ათას მან.)

№	აქტივი		№	პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	32	1	საწესდებო ფონდი	566
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	26	2	სხვა ფონდები და რეზერვები	29
3	მზა ნაწარმი და საქონელი	530	3	მოკლევადიანი სესხები	72
4	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	191	4	ანგარიშსწორებანი	259
5	ფულადი სახსრები	117	5	1938 წ. მოგება	164
6	ანგარიშსწორებანი	93			
7	მომავალი პერიოდის ხარჯები	18			
8	განყენებული საშუალებანი	83			
	ბალანსი...	1090		ბალანსი...	1090

1938 წლის მოგება-ზარალის ანგარიში (ათას მან.)

№			№		
1	სხვადასხვა ზარალი	13	1	მოგება რეალიზაციით	177
2	მოგების სალდო	164			
	ბალანსი...	177		ბალანსი...	177

მომარაგება-გასაღ. უფროსი **ასანიშვილი.** მთ. ბუხჰალტერი **მირიანაშვილი.**

ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომატის მიერ (1939 წ. 9 მაისის დადგენილება № 16).

1153 საქ სსრ ადგ. მრეწვ. სახკომ. ცენტრალური ბუხჰალტერიის უფროსი **ვოსკრესენსკი.**

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

საქ. საფეიქრო მრეწველობის მთავარ სამმართველოსთან არსებული მომარაგება-გასაღების განყოფილების ბალანსი 1939 წ. 1-ლ იანვრისათვის

(ათას მან.)

№	აქტივი		№	პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	532	1	საწესდებო ფონდი	1171
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	101	2	სპეციალური ფონდები	81
3	საქონელი და მზა ნაწარმი	308	3	რეზერვები და მოსალოდნელი ხარჯები	2
4	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	82	4	ანგარიშსწორება (კრედიტორები)	258
5	ფულადი საშუალებები	250	5	დაგროვება საანგარიშო წლის	789
6	ანგარიშსწორება (დებიტორები)	209			
7	მომავალი წლის ხარჯები	6			
8	შენატანები, ანარიცხები და სხვა განყენებული საშუალებები	813			
	ბალანსი...	2301		ბალანსი...	2301

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში.

№			№		
	სხვადასხვა დანაკარგები	5	1	დაგროვება საქონლის და მზა ნაწარმის რეალიზაციით	380
			2	სხვა დაგროვება	414
	სულ...	5		სულ...	794
	დაგროვების სალდო...	789		დანაკარგების სალდო...	—
	ჯამი...	794		ჯამი...	794

დირექტორი **გ. ჩარაევი.** მთ. ბუხჰალტერი **ე. კაციტაძე.**

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია საქ სსრ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

727 საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატის ცენტრალური ბუხჰალტერიის უფროსი **ვ. უიფიანი.**

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

თელავის აბრეშუმის ძაფსალეხი ფაბრიკის ბალანსი 1939 წ. 1 იანვრისათვის

(ათას მან.)

№	აქტივი		№	პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	2269	1	საწესდებო ფონდი	2778
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	4980	2	სპეციალური ფონდები	405
3	საქონელი და მზა ნაწარმი	204	3	რეზერვები და მოსალოდნელი ხარჯები	15
4	გახტვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	1158	4	მოკლევადიანი დაკრედიტება	5239
5	ფულადი საშუალებანი	11	5	ანგარიშსწორება (კრედიტორები)	287
6	ანგარიშსწორება (დებიტორები)	101	6	დაგროვება საანგარიშო წლისა	1751
7	მომავალი წლის ხარჯები	143			
8	შენატანები, ანარიცხები და სხვა განყენებული საშუალებანი	1599			
9	ბალანსთა შორის და შინა ანგარიშსწორებანი	10			
	ბალანსი...	10475		ბალანსი...	10475

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში.

№			№		
1	სხვადასხვა დანაკარგები	41	1	დაგროვება საქონლის და მზა ნაწარმის რეალიზაციით	1787
			2	სხვა დაგროვება	5
	სულ...	41		სულ...	1792
	დაგროვების სალდო...	1751		დანაკარგების სალდო...	—
	ჯამი...	1792		ჯამი...	1792

დირექტორი **ი. მუჯირი.** მთ. ბუხჰალტერი **ს. სოლოპვ.**

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1162 საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ კომისარიატის ცენტრალური ბუხჰალტერიის უფროსი **ვ. უიფიანი.**

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ ა. წ. 16 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე (მარის ქ. № 1, აუდ. № 86, ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **ვახილ დავითის-ძე გიოშვილი** ტექნიკურ მეცნიერებათა (საქონელთმცოდნეობაში) კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბორჩალოს კაოლინი და ფაიფურ-ფაიანსის საქონელი“.**

ოფიციალური ოპონენტები: **პროფ. კ. მეგრელიძე, პროფ. მ. ბექაია, დოც. ა. ფიცხელაური.**

შრომის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
80 **უნივერსიტეტის რექტორი დ. უიფშიძე.**

ექიმი
მძინარიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), კანის და ვენერიული სნეულებანი, ქალების და ბავშვთა გონორეა.
ავადმყოფების მიღება დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, ქალებისა და ბავშვების - საღამოს 6—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 20, ბინა № 57 მე 4 მისავალი. მე 2 სართული) 2875 5—4

ცხაკაია - ფოთის ქვესადგურის მშენებლობის მრგვალი ბეჭედი
ნაპოვნია
და ცხადდება ცნობად.

მეუღლე ანუშკი, შვილები გრიშა, პეტრე, ვარლამ, ნუცა, რძლები ანიჩკა, ლუბა, თამარ, ძმები იასონ, მიხაკო იუწყებიან
სავლე ბესარიონის-ძე ავალიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/XI ს. კიცხში (ხარაგოული). 4022

ეფროსინე, სოზონი მეუღლით ტატიანათი და შვილებით, მამია მეუღლით კატუშათი ჩიქოვანები, ლოლა და ბიჭიკო ქუთათელაძეები იუწყებიან
რაული გრიგოლის-ძე ჩიქოვანის
გარდაცვალებას. 4019

ქმარი ყორა, შვილი ნოდარი, დედა ლილოსი, მული თამარ და მაზლი გრიშა გოგაძეები იუწყებიან, რომ 30/XI, 3 საათზე ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ექიმ ქაშუნა (მანასია) თოფურიას
სამოქალაქო პანაშვიდი.

მეუღლე ნინო, შვილები თამაზ, ცისანა, ცოლისდები შუშანიკა, თამარ, სიდედრი სონიჩკა, სიმამრი ლადო ძიძიგურები იუწყებიან საყვარელ
გრიგოლ სპირიდონის-ძე ჩიტაიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/XI ქ. ცხაკაიაში. 4021

დედა მართა, ცოლი ნუშიკო, შვილი ნუნუკა, ძმა დათიკო, რძალი ფაჩუჩა ჩხეიძეები იუწყებიან საყვარელ
კოწია ჩხეიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 30/XI 2 ს. ორჯონიკიძის № 105. კუკიის სასაფლაოზე. 4024

ძმა დიმიტრი მეუღლით ნინოთი, შვილით სარათი იუწყება
ნიკო ვასილის-ძე ხატიაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 29/XI, რკ. გზის საავადმყ. პროზექტურიდან.

მეუღლე ვლადიმერ, შვილი ლეილა, მული ელისაბედ გურგენიშვილები, ქისნია მარკინა იუწყებიან, რომ 30/XI 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
ოლია გიორგის-ასულ ვეფხვაძე-გურგენიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 400

მეგობრები მ. გუგუშვილი, დ. იაშვილი, ბ. ლორთქიფანიძე, ლ. ჟღენტი, ქ. ვაშაძე, ფ. კობიაშვილი, გ. იოსელიანი, ბ. ლოლობერიძე, კ. ქავთარაძე, გ. ლორთქიფანიძე, ა. მიქაბერიძე, ბ. კორძაია, პ. კანდელაკი, გ. წერეთელი იუწყებიან
კოწია ალექსანდრეს-ძე ჩხეიძის
გარდაცვალებას. 4013

ძმები სეფე, ონისიმე, სერგო ისაკაძეები, რძლები მატრონე, ეფენია, თეოლინე შვილებით, და კალისტინა გოცირიძე ქმარშვილით იუწყებიან
სევასტი მაჩაიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28/XI, ურიცკის, 58. 4018

მეუღლე ნუცა, შვილები შოთა, როზა, მშობლები ალფეზ, ელისაბედ, ძმები ბახვა, გიორგი ბრეგვაძეები იუწყებიან, რომ 30/XI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
გერვასი ალფეზის-ძე ბრეგვაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 4020

დები მარო და ექიმი ელისაბედი, დისწული შოთა ცინცაძე, დის შვილიერი თამარი იუწყებიან
ეპიფანე ბესარიონის-ძე იმნაიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/XI 3 ს. ბრძოლის ქ. № 13 (დიდუბე). პანაშვიდი 28 და 29 ნოემბერს საღ. 7 ს.

სსრ კავშირის სამრეწველო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თანამშრომლები იუწყებიან გრიგოლ დავითის-ძე ნარიმანოვის დედის
ოქსანა მოსეს-ასულ ნარიმანოვის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28/XI 4½ ს. ათარბეგოვის ქ. № 4, კუკიის სასაფლაოზე. 4028

მეუღლე ლუბა, შვილები ავთანდილ, ეთერ, დედა მარინე, ძმა ვენია, და ვარინკა ქმარშვილით, ბიძაშვილები ზინა, ვიქტორ იუწყებიან, რომ 30/XI 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ლალაქტიონ სერგის-ძე იაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 4025

რედ. კციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება ჯანმრთელობის 3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81 სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ლ—1705